1892

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

კომუნისტი — ორგან центрального и тбилисского комитетов КП (б) Грузии и советов депутатов трудящихся грузинской ССР

სამშაბათი
30 ივლისი
1940 წ.
№ 174 (5875)
ფასი 10 კაპ.

მოსკოვის საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტივის საზეიმო სხდომა, მიძღვნილი სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღისადმი

საბჭოთა ხალხს უყვარს საზღვაო საქმე. უყვარს თავისი სახელოვანი სამხედრო-საზღვაო ფლოტი, ამაყობს მისი საბრძოლო ტრადიციებით. სოციალიზმის ქვეყნის სამხედრო-საზღვაო ძალებისადმი ეს საყოველთაო-სახალხო სიყვარული მკაფიოდ იქნა დემონსტრირებული 27 ივლისს, მოსკოვის საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტივის საზეიმო სხდომაზე, რომელიც მიეძღვნა სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს.

გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკის მწვანე თეატრში შეიკრიბა 20 ათასამდე კაცი—პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული მუშაკები, დედაქალაქის ქარხანა-ფაბრიკების სტახანოველები, საბჭოთა ინტელიგენციის წარმომადგენლები. სცენაზეა რევოლუციის დიდი გენიოსების — ლენინისა და სტალინის, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელების გვერდით ფლოტის ადმირალები, ლოზუნგები, სამხედრო-საზღვაო დროშები, ყვავილები.

პრეზიდიუმის მაგიდასთან არიან: საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტისა და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. შჩერბაკოვი, სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარი, ადმირალი კუზნეცოვი, საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივნები — ამხ. პოპოვი, მაკაროვი და პავლიუკოვი, საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტის მდივნები — ამხ. ჩერნოუსოვი და იაკოვლევი, მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. პრონინი, სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისრის მოადგილე, კორპუსის კომისარი ივნატიევი, მთავარი საზღვაო შტაბის უფროსი, ადმირალი გალერი, საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. გრომოვი, საბჭოთა კავშირის გმირი ამხ. პაპანინი, საკ. ალკკ მოსკოვის კომიტეტისა და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. პეგოვი და სხვ.

სხდომა მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. პოპოვმა.

— ჩვენი ქვეყანა, — ამბობს იგი, —მეორედ აღნიშნავს სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს. ეს დღე საბჭოთა ხალხის ერთერთი ყველაზე პოპულარული დღესასწაული გახდა, წელს ამ დღესასწაულს განსაკუთრებით რთულ საერთაშორისო ვითარებაში ვზეიმობთ. მეორე იმპერიალისტური ომის ორბიტაში ჩაბმულია დედამიწის მთელი მოსახლეობის ნახევარზე მეტი. ომის საფრთხე ამჟამად ისე გაიზარდა, როგორც არასდეს არ ყოფილა. საბჭოთა მთავრობა მტკიცედ და განუხრელად ატარებს თანამიმდევრობითს სამშვიდობო პოლიტიკას. ეს პოლიტიკა, უწინარეს ყოვლისა, ეყრდნობა წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ურყევ ძლიერებას. ჩვენი ძირითადი ამოცანაა განუწყვეტლივ ვამტკიცოთ ჩვენი სამშობლოს თავდაცვითი ძლიერება. ამისათვის კი ჩვენ, საბჭოთა ადამიანებმა, უფრო მეტად, უკეთესად და უფრო ნაყოფიერად უნდა ვიმუშაოთ, საბჭოთა ხალხმა განსაკუთრებული ერთსულოვნებით მოიწონა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება 8 საათის სამუშაო დღეზე და შვიდდღიან კვირაზე გადასვლის შესახებ და საწარმოებიდან და დაწესებულებებიდან მუშა-მოსამსახურეთა თვითნებური წასვლის აკრძალვის შესახებ. ამ ბრძანებულების განხორციელება ჩვენს ქვეყანას მისცემს დამატებითს პროდუქციას, დაეხმარება ჩვენს საწარმოებს უფრო წარმატებით და უფრო სწრაფად შეასრულონ წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის შეკვეთები. ჩვენი ქვეყნის მშრომელნი დარწმუნებულნი არიან, რომ საბჭოთა საზღვრების, მათ შორის საზღვაო საზღვრების დაცვა საიმედო ხელშია. თუ მტერი შეეცდება თავს დაესხას საბჭოთა მიწა-წყალს, — ჩვენი მამაცი წითელი არმია და სახელოვანი სამხედრო-საზღვაო ფლოტი გაანადგურებენ და მოსპობენ მას!

შეკრებილნი ხანგრძლივი ოვაციით უპასუხებენ, როცა ამხ. პოპოვი გამარჯვების უსურვებს ჩვენს მამაც წითელ არმიასა და სამხედრო-საზღვაო ფლოტს, საბჭოთა მთავრობასა და მის მეთაურს ამხანაგ მოლოტოვს, კომუნისტურ პარტიას და ხალხთა დიდ ბელადს ამხანაგ **სტალინს.** გაისმის შეძახილი:

„გაუმარჯოს ჩვენს **სტალინს!**"

„ვაშა დიდ **სტალინს!**"

მჭიხარე ტაშით ხვდებიან წინადადებას, რომ საპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნან ამხანაგები **სტალინი, მოლოტოვი, ვოროშილოვი, კაგანოვიჩი, კალინინი, ანდრეევი, მიქოიანი, ჟდანოვი, ხრუშჩოვი, ბერია და შვერნიკი.**

მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარს, ადმირალ ნ. გ. კუზნეცოვს. კრების მონაწილენი გულთბილად ხვდებიან ჩვენი ქვეყნის სამხედრო-საზღვაო ძალების ხელმძღვანელს.

ამხ. კუზნეცოვის მოხსენება

— სამხედრო - საზღვაო ფლოტის პირველი დღის შემდეგ,—ამბობს ამხ. კუზნეცოვი, — ერთმა წელმა განვლო. ეს წელი მსოფლიო მნიშვნელობის ამბებით აღინიშნა. საბჭოთა კავშირი, რომელსაც ხელმძღვანელობს ბრძენი ბელადი დიდი **სტალინი,** კიდევ უფრო გაიზარდა და განმტკიცდა. დამსხვრეულია რიგის იმპერიალისტს გამოაღებელთა ცდები — თავს დასხმოდნენ ჩვენს ქვეყანას და სისხლის-მღვრელ ხოცვა-ჟლეტაში ჩაებათ საბჭოთა ხალხი.

დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის მშრომელნი წითელი არმიის მიერ განთავისუფლებული არიან პოლონელი პანების უღლისაგან და გაერთიანებული არიან თავისუფალ საბჭოთა ხალხებთან. შექმნილია მეთორმეტე — კარელია - ფინეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. თავის მშობლიურ ოჯახში დაბრუნებულ იქნენ ბესარაბიისა და ჩრდილოეთ-ბუკოვინის მშრომელნი.

თავიანთი მჩაგვრელები განდევნეს ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის ხალხებმა. მათ თავიანთ ქვეყნებში საბჭოთა ხელისუფლება დამყარეს და გამოსთქვეს სურვილი — შევიდნენ დიდ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში.

ხვალ მთელი საბჭოთა ხალხი მუორედ ზეიმობს სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს, რომელიც დაწესებულია პარტიისა და მთავრობის მიერ.

ეს დღესასწაული იქნება ახალი დემონსტრაცია ფლოტის განუყრელი კავშირისა საბჭოთა ხალხთან, იგი კიდევ უფრო დარაზმავს ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ძალებს სამხედრო-საზღვაო ფლოტის მშენებლობის ამოცანების განსახორციელებლად.

პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილება მძლავრი სამხედრო-საზღვაო ფლოტის შექმნის შესახებ განსაკუთრებით გასაგებია თანამედროვე საერთაშორისო ვითარებაში, როცა ჩვენი ბრძოლისუნარიანობა საუკეთესო საშუალებაა იმისა, რომ დავიცვათ თავი ომში ჩაბმისაგან, საუკეთესო საშუალებაა იმისა, რომ უზრუნველვყოთ ჩვენი სახელმწიფოს პოლიტიკის დამოუკიდებლობა.

ჩვენი საზღვაო და სამხედინარო საზღვრების ისედაც ვეებერთელა მანძილი ამ უკანასკნელი წლის განმავლობაში ასობით საზღვაო მილებით გადიდდა — ბალტიკაში, ჩრდილოეთში, შავ ზღვაში, ამასთან სამხედრო მხრივ ამ ახალ საზღვრებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ.

გადაჭრით შეიცვალა ვითარება ბალტიის ზღვაში. ბალტიის ფლოტი, რომლისათვისაც ამ უკანასკნელ წლებში ვიწრო გახდა ფინეთის ყურის აღმოსავლეთი ნაწილი, სადაც იძულებული ვიყავით წყალ-ხელმოქცრით გაგვეყო ხომალდებს შორის საბრძოლო მომზადებისათვის, — ბალტიკის სივრცეში გავიდა, ახალი ბაზები მიიღო, საიდანაც შემდეგში დაიცავს ლენინგრადის მისასვლელებს ზღვიდან (**ტაში**). იქ, სადაც 200 წელზე მეტი ხნის წინათ რუსმა მეზღვაურებმა დაამარცხეს შვეციის ფლოტი, იმ დროის ერთერთი საუკეთესო ფლოტი, — განგეუდის ნახევარკუნძულთან, ამჟამად კვლავ ჩვენი ხომალდები დგას. ბალტიის ფლოტის ხომალდები წრთვნას გადიან კრონშტადტიდან ლიბავამდე, ითვისებენ ახალ რაიონს, და ამიერიდან არავის არ დაუთმობენ მოპოვებულ პოზიციებს!

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1-ლ სესიაზე ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა განაცხადა, რომ ჩვენ უნდა გვყავდეს მტკიცე და ძლიერი ფლოტი. ახლანდელი მეორე იმპერიალისტური ომის გამოცდილება საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ მხოლოდ სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო ძალების ერთობლიობა ხდის სრულფასოვანს იმ ქვეყნის თავდაცვის სისტემას, რომელსაც საზღვაო საზღვრები აქვს. ამიტომ ჩვენი სამხედრო - საზღვაო ფლოტი რაც შეიძლება სწრაფად უნდა ამაღლდეს ჩვენი სახმელეთო ძალებისა, ჩვენი ავიაციის დონეზე და მზად უნდა იყოს გაერთიანებული ოპერაციებისათვის, თუ ეს საჭირო გახდება ჩვენი სოციალისტური სამშობლოს თავდაცვისათვის.

1940 წელს ჩვენი ფლოტის ზრდა თითქმის 50 პროცენტით უფრო მეტია, ვიდრე 1939 წელს იყო (**ტაში**). თუ 1939 წელს მიღებული ხომალდების ტონაჟს 100 პროცენტად ჩავთვლით, მაშინ 1940 წლის ტონაჟი 221 პროცენტი იქნება. ეს იმას ნიშნავს, რომ ზრდა უმთავრესად დიდი გემების ხარჯზე ხდება.

კიდევ უფრო სწრაფად იზრდება ჩვენი წყალქვეშა ფლოტი. 1940 წელს იგი გემების როიდენობის და ტონაჟის მხრივ ისეთ შევსებას მიიღებს, რომელიც შეადგენს იმ შევსების დაახლოებით 300 პროცენტს, რაც 1939 წელს შეიმატა მწყობრს (**ტაში**).

ამასთან ერთად წარმატებით მიმდინარეობს იმ ხომალდების აგებაც, რომლებიც მოქმედი ფლოტის რიგებს უახლოეს წლებში შეემატებიან, შეიქნება ჩვენი მომავალი ძლიერი ფლოტის ახალ-ახალი საბრძოლო ერთეულები. ეზრდება ჩვენი საბრძოლო - საზღვაო ავიაციაც, უმჯობესდება სანაპირო თავდაცვა.

მაგრამ საზიანო და არასწორი იქნებოდა იმის თქმა, რომ უკანასკნელ წლებში გაკეთებულია. ხომალდების ასეთი რაოდენობა, რომელიც მწყობრს ყოველწლივ ემატება, ბევრ ქვეყანას შეშურდებოდა, მაგრამ ჩვენთვის ეს მაშტაბები ჯერ კიდევ აშკარად არასაკმარისია.

შემდეგ ამხ. კუზნეცოვი ჩერდება წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის და ჩრდილოეთ ფლოტის როლზე თეთრფინელებთან ბრძოლაში.

ბალტიისა და ჩრდილოეთი ფლოტების ხომალდები და, განსაკუთრებით წყალქვეშა ნავები, თავგამოდებით მუშაობდნენ, უაღრესად სუსხიანი ზამთრის მძიმე ყინულოვან პირობებში იცავდნენ თავიანთ საზღვრებს და ახადგურებდნენ მოწინააღმდეგეს. სამი წყალქვეშა ნავი დაჯილდოებულია წითელი დროშის ორდენით, ამ ნავების მეთაურებს ამხ. ტრიპოლსკის, ვერშინინსა და კონიაევს საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდება მიენიჭათ, ხოლო პირადი შემადგენლობა დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით საბრძოლო დავალებათა საუცხოოდ შესრულებისათვის (**ტაში**). გმირულად და უშიშრად მოქმედებდა საზღვაო ავიაცია, რომელმაც წარმატებით შეასრულა მის წინაშე დასახული საბრძოლო ამოცანები. ამის დამადასტურებელი საბუთია ის ფაქტი, რომ 18 საზღვაო მფრინავს საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდება მიენიჭა.

მეთაურებმა, პოლიტმუშაკებმა და წითელფლოტელებმა ფინელ თეთრგვარდიელებთან ბრძოლაში ცხადყვეს თავიანთი უსაზღვრო ერთგულება ბოლშევიკური პარტიის საქმისადმი, თავიანთი მზადყოფნა მამაცურად დაიცვან ჩვენი ძვირფასი სოციალისტური სამშობლო, განგმირონ და მოსპონ მისი მტრები.

საქმით, საბრძოლო პირობებში შეეჯამოწმეთ ჩვენი ტექნიკა, თავიდან ვიცილებთ მის წვრილმან ნაკლოვანებებს, ვაუმჯობესებთ მას საბრძოლო გამოცდილების საფუძველზე. ნება მომეცით მადლობა გადავუხადო სამხედრო - საზღვაო ფლოტის პირადი შემადგენლობის სახელით ყველა იმ ქარხნის მუშაკებს, რომლებიც ჩვენ ამ ტექნიკას გვაძლევენ, და, პირველ რიგში, გემსაშენი მრეწველობის სახალხო კომისარიატის მუშაკებს, მის ხელმძღვანელებს, ყოფილ სახალხო კომისარს ამხ. თევოსიანს და ახლანდელ სახალხო კომისარს ამხ. ნოსენკოს. (**ტაში**).

ამხ. კუზნეცოვი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თანამედროვე საერთაშორისო ვითარება სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთელი პირადი შემადგენლობის საბრძოლო მომზადების ტემპების შემდგომს გაძლიერებას მოითხოვს.

გასული წლებისაგან განსხვავებით, ფლოტის წინაშე ახლა დასმული იყო ამოცანა ჩაეტარებინა წრთვნა ზამთრის პირობებში, ე. ი. გადასულიყვნენ სწავლაზე მთელი წლის განმავლობაში, ზამთრის გამოუკლებლად, და რემონტისათვის უაღრესად მინიმალური დროის დახარჯვით.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა წრთვნას ომის დროის პირობებთან მაქსიმალურად მიახლოების ვითარებაში. ცივი ამინდის დროს ლაშქრობა ჩვენ ნორმალური უნდა გავხადოთ ხომალდებისათვის. წრთვნა კარგი ამინდისა და კარგი ხილვადობის დროს სრულფასოვნად ვერ ჩაითვლება. უმჯობესება ხომალდების და ფლოტის ნაწილების სამსახურის ორგანიზაცია. მებრძოლთა და მეთაურთა შორის მტკიცდება დისციპლინა, ურომლისოდაც არ შეიძლება არსებობდეს ბრძოლისუნარიანი ფლოტი.

თავისი მოხსენების უკანასკნელ ნაწილს ამხანაგი კუზნეცოვი მიუძღვნის სამხედრო - საზღვაო ფლოტის კადრების მომზადებას.

„კადრები წყვეტენ ყველაფერს". **სტალინის** ეს სიტყვები განსაკუთრებით ეხება ფლოტს, რომელსაც რთული ტექნიკა აქვს.

ფლოტის სწრაფი ზრდა მოითხოვს უფროსთა და რიგი შემადგენლობის სწრაფ, მაგრამ გულდასმითს მომზადებასაც.

ის გარემოება, რომ ძალიან ბევრია სამხედრო - საზღვაო სასწავლებელში შესვლის მსურველი, მოწმობს ჩვენი ახალგაზრდობის განსაკუთრებულ სწრაფვას სამხედრო-საზღვაო ფლოტისაკენ. კადრებით სამხედრო - საზღვაო ფლოტის უზრუნველყოფის საქმეში დიდ როლს ასრულებს ჩვენი შეფი—ლენინურ-სტალინური კომკავშირი, რომელიც ფლოტის არსებობის პირველი დღეებიდანვე აქტიურად მონაწილეობს მის მშენებლობაში (**ტაში**).

ამ ახალგაზრდობიდან, რომელიც ფლოტში შედის, ჩვენ ვალდებული ვართ მოვამზადოთ **ლენინ-სტალინის** სამშობლოს უსაზღვროდ ერთგული, მცოდნე, კულტურული მეთაურები და წითელფლოტელები. ეს შეიძლება მიღწეულ იქნას, თუ გულმოდგინე ალმზრდელობითს მუშაობას გავწევთ, სწორად შევიმუშავებთ პროგრამებს და მოხერხებულად შევუხამებთ თეორიულ სწავლებას ხომალდებზე და შექანიზმებთან პრაქტიკას. ახალგაზრდობა რომ უფრო გულდასმით მოემზადოს და მთელი რიგი საზღვაო სპეციალობები გაიაროს ჯერ კიდევ ჩვენს სამხედრო - საზღვაო სასწავლებლებში შესვლამდე, ამისათვის სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებით იქმნება სპეციალური სკოლები 7 ქალაქში, სადაც უკანასკნელი სამი კლასის მოსწავლენი მოემზადებიან სამხედრო - საზღვაო სასწავლებლებში შესასვლელად.

საბჭოთა ხალხი დიდ ინტერესს იჩენს წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცხოვრებისადმი, უაღრესად აქტიურ დახმარებას უწევს მათ ბრძოლის უნარიანობის განმტკიცებაში. სოციალისტის ქვეყნის შეიარაღებულ ძალთა მშენებლობა პარტიისა და მთავრობის დაუღალავი, ყოველდღიური ზრუნვის საგანს შეადგენს. სამხედრო - საზღვაო ფლოტს გააჩნია ყველა საიმედო საშუალება, რომ ღირსეულად აასრულოს ის ამოცანები, რომელიც მას დაუსახა ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და ჩვენი დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი.

ამხანაგი კუზნეცოვის მოხსენებას ხანგრძლივი ოვაციით შეხვდნენ კრების მონაწილენი მომხსენებლის უკანასკნელ სიტყვებს:

— ამხანაგი **სტალინის** ხელმძღვანელობით შექმნილია სახელოვანი წითელი არმია და ჩვენი სამხედრო - საზღვაო ფლოტი. ამხანაგი **სტალინის** ხელმძღვანელობით იქმნება და შეიქმნება მძლავრი, უძლეველი სამხედრო-საზღვაო ფლოტი.

გაუმარჯოს ჩვენს დიად და მშვენიერ სამშობლოს!

გაუმარჯოს ჩვენს წითელ არმიას და სამხედრო-საზღვაო ფლოტს!

გაუმარჯოს ჩვენს მთავრობას და მის მეთაურს ამხანაგ **მოლოტოვს!**

გაუმარჯოს დიდ **სტალინს!**

ოვაციები არ წყდება მანამ, სანამ მოსკოვის მშრომელთა სახელით მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. **პრონინი.** ერთსულოვანი ტაშით შეხვდა კრება მის განცხადებას იმის შესახებ, რომ მძლავრი სამხედრო - საზღვაო ფლოტის მშენებლობა მთელი საბჭოთა ხალხის საარსებო საქმეა.

ლენინურ - სტალინური კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისა და მთელი საბჭოთა ახალგაზრდობის სახელით სამხედრო - საზღვაო ფლოტის წითელფლოტელებს, მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს მხურვალედ მიესალმა საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. **გრომოვი.**

კრებამ განსაკუთრებული აღფრთოვანებით მიიღო მისალმება საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისადმი — ამხანაგ **სტალინისადმი** და სსრ კავშირის სახკომსაბჭოსადმი — ამხანაგ **მოლოტოვისადმი.** (საკ. დეს.).

ამხ. ბ. მ. ბოჩკოვისა და ნ. პ. სპირიდონოვისათვის სამხედრო სახელწოდების მინიჭების შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ **დაადგინა:**

დამტკიცდეს მთავრობის კომისიის წინადადება გენერალ-მაიორის სახელწოდების მინიჭების შესახებ:

ბიტყორი მიხეილის-ძე **ბოჩკოვისათვის,**

ნიკოლოზ კირილეს-ძე **სპირიდონოვისათვის.**

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. მოლოტოვი

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი
ვ. ხლომოვი.

მოსკოვი, კრემლი,
1940 წლის 28 ივლისი.

პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს X პლენუმი

27 ივლისს კავშირთა სახლის სვეტებიან დარბაზში გაიხსნა პროფესიულ კავშირთა სრულიად - საკავშირო ცენტრალური საბჭოს X პლენუმი. პლენუმის მუშაობაში აქტიურ მოხაწილეობას იღებენ პროფკავშირთა ცენტრალური და საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელი მუშაკები, საფაბრიკო - საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტების წარმომადგენლები.

პლენუმის დღის წესრიგში დგას ერთი საკითხი — პროფკავშირულ აპარატში ზოგიერთი დეფექტის თავიდან აცილებისა და პროფკავშირულ ორგანოების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ. მოხსენება გააკეთა პროფესიული კავშირების სრულიად - საკავშირო ცენტრალური საბჭოს მდივანმა ამხ. **ნ. მ. შვერნიკმა.**

ამხ. შვერნიკის მოხსენების გამო გაცხოველებული კამათი გაიმართა. პლენუმზე გამოსულმა ყველა ამხანაგმა აღნიშნა, რომ პლენუმზე განსახილველად დაყენებულ საკითხს უდიდესი მნიშვნელობა აქვს პროფკავშირთა ცხოვრებაში. (საკ დესი).

ქრონიკა

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ გაანთავისუფლა ამხ. **ი. ი. ლაგუშინი** ფერადი მეტალურგიის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრის მოვალეობისაგან. (საკ დესი).

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საბჭოთა კავშირის დიპლომათა სააგენტოს (საკდესის) მუშაკთა დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა კავშირის დიპლომათა სააგენტოს (საკდესის) 15 წლისთავთან დაკავშირებით, უცხოეთისა და საკავშირო ინფორმაციით საბჭოთა პრესის მომსახურების საქმეში დამსახურებისათვის დაჯილდოებულ იქნან:

შრომის წითელი დროშის ორდენით

1. დიმიტრი დავითის-ძე **მონინი** — უცხოეთის ინფორმაციის რედაქციის გამგე,

2. თევდორე ჰენრიხის-ძე **მუსკატბლატი** — უფროსი რედაქტორი,

3. იოსებ ეფიმის-ძე **ოვადისი** — საზღვარგარეთისათვის განკუთვნილი ინფორმაციის რედაქციის გამგე,

4. ივანე კონსტანტინეს-ძე **სირომოლოტნი** — უკრაინის სსრ დიპლომათა სააგენტოს (რატაუ) გამგე,

5. იაკობ სიმონის-ძე **ხავინსონი**— საკდესის პასუხისმგებელი ხელმძღვანელი.

„საპატიო ნიშნის" ორდენით

1. პავლე ალექსანდრეს-ძე **ვიშნიაკოვი** — საკდესის კორესპონდენტი,

2. ივანე ვასილის-ძე **ზუევი** — ტაჯიკეთის სსრ დიპლომათა სააგენტოს ხელმძღვანელი,

3. აბრამ ისააკის-ძე **იცხოკინი** — საკავშირო ინფორმაციის რედაქციის გამგე,

4. თევდორე ივანეს-ძე **კისლოვი** — ფოტორეპორტიორი,

5. ვლადიმერ ლეონტის-ძე **კუდრიავცევი** — უცხოეთის ინფორმაციის რედაქციის გამგის მოადგილე,

6. გრიგოლ ევსევის-ძე **კონსტანტინოვსკი** — უცხოეთის რედაქციის პასუხისმგებელი გამომშვები,

7. ალექსი ივანეს-ძე **კუზიურინი** — საკდესის პარტიული ბიუროს მდივანი,

8. იაკობ ბორისის-ძე **მაზორი** — უცხოეთის ინფორმაციის რედაქციის გამგის მოადგილე,

9. მიხეილ ვასილის-ძე **მოროზოვი** — ყირგიზეთის სსრ დიპლომათა სააგენტოს ხელმძღვანელი.

10. კონსტანტინე ივანეს-ძე **ნეფედოვი** — ყაზახეთის სსრ დიპლომათა სააგენტოს ხელმძღვანელი,

11. ნიკოლოზ გრიგოლის-ძე **პალგუნოვი** — საკდესის კორესპონდენტი,

12. აბრამ ლევის-ძე **სუკალსკი** — კავშირგაბმულობისა და გამოშვების განყოფილების გამგე,

13. ლეონიდე ივანეს-ძე **იაკოვლევი** — რედაქციის გამგის მოადგილე.

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის"

1. იზრაილ მარკოზის-ძე **ანცელოვიჩი** — ლენინგრადის განყოფილების გამგე,

2. გიორგი მიხეილის-ძე **ბესპალოვი** — უცხოეთის რედაქციის პასუხისმგებელი გამომშვები, წინათ „საპატიო ნიშნის" ორდენით დაჯილდოებული.

3. ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე **გრიბოვსკი** — ფოტორეპორტიორი,

4. ალექსი ვლადიმერის-ძე **ერმაკოვი** — საკდესის ხაბაროვსკის განყოფილების გამგე,

5. ბაბალე ალექსის-ასული **კაბანოვა** — მთარგმნელი,

6. ლუბა მიხეილის-ასული **კაზაკოვა**—რედაქტორი,

7. ალექსანდრე ვასილის-ძე **კაზანსკი** — საკდესის კორესპონდენტი,

8. ანატოლი ლეონიდეს-ძე **კრასნოვი** — რეპორტიორი,

9. აგნია სერგის-ასული **კამნევა** — სტენოგრაფი,

10. ვასილ დიმიტრის-ძე **კარიაკინი** — საკდესის კორესპონდენტი,

11. ანტონ სიმონის-ძე **კომრაკოვი** — მეროტატორე,

12. დომნა გაბრიელის-ასული **კუროჩინსკაია** — ექსპედიტორი,

13. დანიელ თევდორეს-ძე **კრამნოვი** — საკდესის კორესპონდენტი,

14. მოსე იოსების-ძე **ლიპკინი** — უფროსი რედაქტორი,

15. ანდრია ხრისანფის-ძე **ლისინი** —საკდესის კორესპონდენტი,

16. ანა მოსეს-ასული **მოგილევსკაია**—სტენოგრაფი,

17. ვლადიმერ ალექსანდრეს-ძე **მოროზოვი** — საკდესის კორესპონდენტი,

18. ვლადიმერ ივანეს-ძე **მიხეევი** — საკდესის კორესპონდენტი,

19. ვერა მაკარის-ასული **მენშიკოვა** — უფროსი კორექტორი,

20. ივანე ივანეს-ძე **ნოვოხატნი**— სექტორის გამგე,

21. ვიქტორ ივანეს-ძე **პაშჩენკო** — სექტორის გამგე,

22. პეტრე გიორგის-ძე **პეტრუხინი** — საქართველოს სსრ დეპეშათა სააგენტოს რედაქტორი,

23. ალექსანდრე ილიას-ძე **პროხოროვი** — რედაქციის მდივანი,

24. ვასილ ივანეს-ძე **რუბჩიკოვი** — თურქმენეთის სსრ დეპეშათა სააგენტოს ხელმძღვანელი,

25. პავლე ალექსის-ძე **სამოზვანცევი** — უფროსი კომენდანტი,

26. ლუბა კუზმას-ასული **სმირნოვა** — მემანქანე,

27. ნადეჟდა მიხეილის-ასული **სოკოლოვა** — კორექტორი,

28. ვალენტინ არქიპოს-ძე **სოროკინი** — სექტორის გამგე,

29. დინა აბრამის-ასული **სტარცევა** — რედაქტორი,

30. მოსე მოშელის-ძე **ჩაუსკი** — ბელორუსიის სსრ დეპეშათა სააგენტოს ხელმძღვანელი,

31. ტილია მიხეილის-ასული **ჩორნაია** — მთარგმნელი,

32. ნიკოლოზ ვასილის-ძე **ჩირკოვი** — კავშირგაბმულობის განყოფილების ინჟინერი,

33. აარონ იაკობის-ძე **შაპირო** — სექტორის გამგე,

34. მიხეილ სერგის-ძე **შაროვი**— საკდესის კორესპონდენტი,

35. მარკოზ იაკობის-ძე **შუგალი** —სექტორის გამგე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი,
1940 წლის 27 ივლისი

პარტიული კრება

პარტიული კრება კომუნისტთა ბოლშევიკური პარტიულობის სულისკვეთებით აღზრდის საუკეთესო სკოლაა. იგი უდიდეს როლს თამაშობს პარტიის წევრთა და კანდიდატთა კომუნისტურად აღზრდაში. პარტიულ კრებაზე საკითხების განხილვასა და გადაწყვეტაში აქტიური მონაწილეობა თვითეულ კომუნისტს უნერგავს პასუხისმგებლობას მთელი პარტიული ორგანიზაციის მუშაობისათვის.

პარტიული კრება ამავე დროს არის პირველადი პარტიული ორგანიზაციის კოლექტიური ხელმძღვანელობის ორგანო. კარგად მომზადებული და ჩატარებული პარტიული კრება ხელს უწყობს ახალგაზრდა კადრების ბოლშევიკურად გამოწრთობას, აძლიერებს თვითეული კომუნისტის აქტივობას მიცემული დავალების შესრულებაში, ზრდის მათში პარტიულობის გრძნობას.

მაგრამ იმისათვის, რომ პარტიული კრება ნამდვილად იყოს პარტიული მასების ბოლშევიკურად აღზრდის სკოლა, საჭიროა იგი ტარდებოდეს მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე. პარტიული კრების მომზადებაში, კრებაზე საკითხების განხილვაში აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ რიგითი კომუნისტები. მათი საქმიანი წინადადებანი გამოხატულებას უნდა პოულობდნენ პარტიული კრების დადგენილებებში, ხოლო მიღებულ დადგენილებათა შესრულებისათვის განუწყვეტლივ უნდა ზრუნავდეს თვითეული პარტიული კომიტეტი, პარტბიურო, თვითეული პარტიული ხელმძღვანელი.

ამ მხრივ კარგად მუშაობენ თბილისის საწარმოთა და დაწესებულებათა მთელი რიგი პირველადი პარტორგანიზაციები. თბილისის მატყლის ფაბრიკის, თბილისის სტალინის სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის და სხვ. პარტიული ორგანიზაციები სერიოზულად მუშაობენ პარტიული კრებებისათვის წინასწარ, გულდასმით მომზადებაზე. პარტიულ კრებაზე საკითხის გამოტანამდე მას ჯერ ყურადღებით იხილავენ პარტბიუროს სხდომაზე. გამოჰყოფენ მომხსენებელს, საკითხის მომზადებაში აბამენ კომუნისტებს, გულმოდგინედ აგროვებენ მათს სასარგებლო წინადადებებს და შეაქვთ პრაქტიკულ ღონისძიებათა პროექტში, თავდადებით იბრძვიან მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის.

სამწუხაროდ, ზოგიერთ პარტიულ ხელმძღვანელს სათანადოდ ვერ შეუგნია პარტიული კრების უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა, ნაკლებ ყურადღებას აქცევს კრების წინასწარ მომზადებას, ამ საქმეში პარტიული აქტივის, რიგითი კომუნისტების ჩაბმას. პარტიული კრების მომზადება ზოგჯერ წარმოდგენილი აქვთ მეტად მარტივად, როგორც კრებაზე კომუნისტთა დასწრების უზრუნველყოფა.

მაგალითად, ნაკლებად ზრუნავს პარტიული კრების სათანადოდ მომზადებისათვის თბილისის სატრიკოტაჟო კომბინატის პარტიული ორგანიზაცია. აქ კომუნისტები სათანადოთ ჩაბმული არ არიან პარტიული კრებისათვის საკითხების მომზადებაში, მოხსენებისათვის მასალების შეგროვებაში, პრაქტიკული ღონისძიებების დასახვაში. ყოველივე ამ სამუშაოს კისრულობენ მომხსენებლები. ამიტომ ზოგჯერ კომუნისტთა აქტივობა კრებებზე დაბალია, საკითხების განხილვა დაბალ დონეზე ტარდება; სუსტია პარტიული დისციპლინა; კომუნისტები ხშირად აცდებიან კრებას. მაგალითად, პარტიულ კრებას, რომელიც 17 ივლისს ჩატარდა, 63 კომუნისტიდან მხოლოდ 32 დაესწრო. ზოგჯერ სუსტად ემზადებიან პარტიული კრებისათვის აგრეთვე თბილისის 26 კომისრის სახელობის ქარხნის, კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის და სხვ. პარტიულ ორგანიზაციებში.

პარტიული კრების სათანადოდ მოუ

სტალინირი. სამხრეთ-ოსეთის მშრომელთა მიტინგი, მიძღვნილი გორი—სტალინირის რკინიგზის გახსნისადმი. მარცხნივ—საქ. კ. პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. ცხოვრებაშვილი გამოდის სიტყვით. მის გვერდით დგას სამხრეთ-ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ვ. ხუბაევი. ფოტო ვლ. გინზბურგისა

№ 108 მატარებელი

გორი, 29 ივლისი (საქინფორმი). 28 ივლისს 11 საათსა და 17 წუთზე გორში მოვიდა № 108 მატარებელი თბილისი — სტალინირი. ეს პირველი მატარებელი იყო გორი-სტალინირის ახალ ხაზზე, რომელიც სამხრეთ-ოსეთის მშრომელებმა გაიყვანეს **ამხანაგ ლ. პ. ბერიას** ინიციატივით.

ქალაქ გორის — დიდი **სტალინის** სამშობლოს — და ახლო-მახლო სოფლების ათასობით მშრომელი წითელი დროშებითა და მუსიკით შეხვდნენ მატარებელს. ვაგზლის შენობა მორთულია ბელადების პორტრეტებით, ლოზუნგებითა და პლაკატებით. დამსწრეთა შორის არიან საქართველოს კ. პ. (ბ) გორის რაიკომის მდივანი **ამხ. ვ. ლოლაძე**, მშრომელთა დეპუტატების გორის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ამხ. ს. ბაზანდარაშვილი**, მშრომელთა დეპუტატების გორის რაისაბჭოს თავმჯდომარე **ამხ. გ. ჯაბაური**, უძველესი პედაგოგები — ორდენოსნები **ამხ. პ. კაპანაძე** და **გ. გლურჯიძე**, ქალაქის საწარმოთა სტახანოველები, პედაგოგები და მოწაფეები.

ხიდისთავის ბაღებისა და ვენახების მწვანეში გამოჩნდა მატარებელი, რომელიც მოჰყავდა წარჩინებულ ქართოსელ მემანქანეს, ქ. სტალინირის მკვიდრს **ამხ. ნ. აბულაძეს** და მის თანაშემწეს **ამხ. ი. გაგიევს**. ორთქლმავალსა და ვაგონებზე არის დიდი **სტალინისა** და მის სახელოვან თანამებრძოლთა — **ამხანაგ ვ. მოლოტოვის, ლ. კაგანოვიჩისა** და **ლ. ბერიას** პორტრეტები, რომლებიც მორთულია ყვავილებით.

პირველი მატარებლით სტალინირში მიდიოდნენ საქართველოს სს რესპუბლიკის **განათლების** სახალხო კომისარი **ამხ. გ. კიკნაძე**, ამიერკავკასიის ლ. პ. ბერიას სახელობის რკინიგზის სამმართველოს უფროსი **ამხ. გრ. კიკნაძე**, სსრ კავშირის გზათა **სახალხო** კომისარიატის რკინიგზის ცენტრალური სამმართველოს უფროსის მოადგილე **ამხ. ვ. რომანოვი**, ამიერკავკასიის **ლ. პ. ბერიას** სახელობის რკინიგზის პოლიტგანყოფილების უფროსის მოადგილე **ამხ. გ. ესაკია**, თბილისის დეპოს წარჩინებული ინსტრუქტორ-მემანქანე, ორგზის ორდენოსანი **ნ. გელაძე**, გორი-სტალინირის ხაზის მშენებლობის უფროსი **უ. კოჩიევი**, ქალაქ თბილისის საწარმოთა სტახანოველები, პოეტები და მწერლები.

გორიდან სტალინირამდე

28 ივლისს 12 საათსა და 5 წუთზე № 108 მატარებელი დამსწრეთ მუსიკითა და აღფრთოვანებული მისალმების შეძახილით გაუდგა გზას სტალინირს. მატარებელმა რამდენიმე მანძილი გაიარა და გორისჯვრის ძირში, იქ, სადაც მჩქეფარე ლიახვი მტკვარს, ერთვის, მთავარი მაგისტრალიდან მოუხვია და მტკვრის ახალი ლამაზი ხიდისაკენ გაემართა, რომელსაც ეს არის ახლა მოაცილეს ხარაჩო. ჰაერში გაისმა მქუხარე „ვაშა“ და „ურა“. ხიდთან მინდორზე შეიკრიბნენ ქალაქ გორის და ახალი ხაზის ახლოს მდებარე სოფელ ტინისხიდის მცხოვრებნი — ხიდის მშენებელნი. გაისმა მძლავრი ხმა სიმღერისა დიდ სტალინზე... ეს გ. სვანიძის ხელმძღვანელობით არსებული გორის ეთნოგრაფიული გუნდი მიესალმება სამხრეთ-ოსეთის მშრომელთ და პირველ ისტორიულ მატარებელს.

საქართველოს კ. პ. (ბ) სტალინირის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. ვ. ვალიევი ხსნის მიტინგს. იგი ლაპარაკობს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს რკინიგზის ახალ ხაზს სამხრეთ-ოსეთის მშრომელთათვის, ლაპარაკობს ამ ხაზის გამყვანთა ენტუზიაზმზე, იმ დახმარებაზე, რომელსაც **ლ. პ. ბერია** უწევდა და უწევს სამხრეთ-ოსეთის მშრომელთ.

შემდეგ გზის მშენებლობის პროფორგანიზაციის **სახელით** გამოვიდა **ამხ. გ. გაზაშვილი**, რომელიც ულოცავს დიდ გამარჯვებას ხაზისა და ხიდის მშენებელთ.

მიტინგი დამთავრდა. მატარებელი მიდის წინ, ჩრდილოეთისაკენ, სამხრეთ-ოსეთის დედაქალაქისაკენ, მუდმივი თოვლითა და ყინულით დაფარული მთებისაკენ.

12 საათსა და 30 წუთზე მატარებელი **ახალ ხიდზე** შედგა. კვლავ მოისმის აღფრთოვანებული ოვაცია და შეძახილი „ვაშა“ და „ურა“.

მატარებელი სვლას უჩქარებს. თითქმის ყოველ ნაბიჯზე ხვდებიან მას სახეგაბრწყინვებული კოლმეურნეები. დედებს ხელში პატარა ბავშვები უჭირავთ, ღრმა მოხუცნი გრძნობამორეულნი უყურებენ მორთულ ორთქლმავალსა და ვაგონებს.

მატარებელი მიდის ბაღებსა, ვენახებსა და ნოყიერ ტირიფონის ველზე, რომელსაც მჩქეფარე ლიახვი რწყავს. გამოჩნდა სოფელი ოთარშენი, და მისი ძველი ციხის ნანგრევები. კოლმეურნეებს ნანგრევებთან მოუყრიათ თავი და სიხარულით მიესალმებიან მატარებელს, ყვავილებს ესვრიან.

მატარებელი სოფელ თედოწმინდას გასცდა. ირგვლივ მშვენიერი ბაღებია. ვაშლის, მსხლის, ატმის ხეების დახუნძლული ტოტები სიმძიმით მოღუნულია.

აი, სოფელი აშენდა. მატარებელი სვლას ანელებს და დგება. მთელი სოფელი გამოვიდა მატარებლის შესახვედრად. აქ იქნება პირველი სადგური გორს შემდეგ. მშენებლობა უკვე დაიწყო.

სოფელ შინდისის კოლმეურნეობა, სადაც მეორე სადგური იქნება, პირველ მატარებელს აღფრთოვანებული შეხვედრია მოუწყეს. შინდისელები რომ გორს ჩასულიყვნენ, ლიახვი უნდა გადაელახათ, შემდეგ კი ქვეითად თითქმის 20 კილომეტრი უნდა გაევლოთ. ახლა რამდენ მსხვერპლს იწირავდა ლიახვი! ამჟამად, რკინიგზის ხაზზე მიმოსვლის დაწყების შემდეგ ყოველივე ეს წარსულს ჩაჰბარდა. ამას კარგად გრძნობენ შინდისელები და ამიტომაც უღიმით სახე.

გაისმის ორთქლმავლის ხანგრძლივი საყვირის ხმა. იგი შორს ეფინება ველებს. მატარებელი სტოვებს ბაღებში ჩაფლულ სოფელ ნიქოზს. აი უკვე სჩანს სტალინირის მიდამოები, ვაგზლის მოედანი, რომელიც გაჭედილია ათიათასობით ადამიანით. სტალინირთან მატარებელს ცხენოსანი კოლმეურნეები ხვდებიან დროშებითა და სიმღერით. ამ კოლმეურნეთა რიცხვი 600 კაცს აღემატება. ისინი მარდად დააკროლებენ კოლმეურნეობათა სწრაფ ცხენებს.

№ 108 მატარებელი, რომელსაც გარს არტყიან ცხენოსანი კოლმეურნეები, სტალინირის ტერიტორიაზე შედის.

მემანქანე აბულაძე ხანგრძლივ სიგნალს იძლევა. ეს სიგნალი ზეიმოვნად, ძლევამოსილად გაისმის. ვაგზლის მოედანზე შეკრებილი ურიცხვი ხალხი დიდის ამბით მიესალმება **სამხრეთ - ოსეთის მშრომელთა დიდ** გამარჯვებას. ყოველმხრივ მოისმის აღფრთოვანებული შეძახილები.

„გაუმარჯოს დიდ **სტალინს!**“

„გაუმარჯოს ოსი ხალხის მეგობარს—**ამხანაგ ბერიას!**“

გორი-სტალინირის გზა გაიხსნა.

ზეიმი სამხრეთ-ოსეთში

50.000 კაცი ვაგზლის მოედანზე

სტალინირი, 29 ივლისი (საქინფორმი). 28 ივლისს სამხრეთ-ოსეთის მშრომელებმა ზეიმით აღნიშნეს სამხრეთ-ოსეთში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების 20 წლისთავი. დილიდანვე ჯგუფ-ჯგუფად, ერთმანეთს ხელიხელგადახვეულნი, ტყვიავის მხრიდან ავტომობილებით, ურმებით და ფეხოსნებით სტალინირისაკენ სიმღერითა და წითელი დროშებით მოდიოდნენ კოლმეურნეები და კოლმეურნე-ქალები. ზღვა ხალხი აყრილა თავს რკინიგზის ახლადაგებული სადგურის ვრცელ მოედანზე.

თბილისიდან პირველი მატარებლის მოსვლის მოლოდინში ლხინი გაჩაღდა. დაუკრეს ზურნა, გაისმა გარმონის ხმა. ცეკვავდნენ მოხუცნი და ახალგაზრდები. შორს გაისმოდა მხიარული, გულიანა სიმღერების ხმა. სამხრეთ-ოსეთის მშრომელნი ქება-დიდებას ასხამდნენ დიდი **სტალინის** გენიის სიბრძნეს, დიდი **სტალინისას**, რომელმაც ბედნიერება, სიხარული და მზიანი ცხოვრება მიანიჭა მათ.

ნაშუადღევის 3 საათზე გამოჩნდა პირველი მატარებელი. და როდესაც გაისმა ორთქლმავლის საყვირის ხმა მოედანზე „ვაშამ“ იგრიალა. მოედანზე შეკრებილი 50.000 კაცი მიესალმა პირველი მატარებლის გამოჩენას, ისინი ერთმანეთს ეხვეოდნენ და დიდ გამარჯვებას ულოცავდნენ.

ისხლება მიტინგი. ტრიბუნაზე ადიან: საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. **ი. თავაძე**, საქართველოს კ. პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. **ვ. ცხოვრებაშვილი**, საქართველოს სს რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარი **ამხ. გ. კიკნაძე**, სამხრეთ-ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ამხ. ვ. ხუბაევი**, წარჩინებული კოლმეურნე **ამხ. მ. პლიევა**, პოეტები და მწერლები: **ი. აბაშიძე, ხ. პლიევი, ვ. გორგაძე, კ. ქალაძე, რეჟისორი ნ. შენგელაია** და სხვ.

სამხრეთ-ოსეთში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების 20 წლისთავისადმი მიძღვნილ მიტინგს ხსნის **ამხ. ვ. ცხოვრებაშვილი.**

იგი ლაპარაკობს სამხრეთ-ოსეთის მშრომელების მიერ 20 წლის მანძილზე გავლილ სახელოვან გზაზე, სამხრეთ-ოსეთის მშრომელების მიერ **ლენინ-სტალინის** პარტიის წინამძღოლობით, დიდი **სტალინის** და ქართველი ხალხის ერთგული შვილის **ამხანაგ ლ. ბერიას** ხელმძღვანელობით მიღწეულ წარმატებებზე.

— სამხრეთ-ოსეთის მშრომელნი,—სთქვა **ამხ. ცხოვრებაშვილმა**,— არა ერთხელ აღმდგარან პირსისხლიანი ცარიზმის, მემამულეების, საზოზღარ მენშევიკთა წინააღმდეგ საბრძოლველად. მომძე ქართველი ხალხის დახმარებით, ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობით, სამხრეთ-ოსეთს მშრომელებმა მოსპეს მენშევიკების საზიზღარი ბატონობა და საბჭოთა ხელისუფლება დაამყარეს. 20 წლის განმავლობაში სამხრეთ-ოსეთი ისე გამოიცვალა, რომ მისი ცნობა შეუძლებელია. ფრიად დიდია სამხრეთ-ოსეთის მშრომელთა წარმატება სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში: გორი-სტალინირის რკინიგზის გახსნა, რომლის მშენებლობაც ამხანაგ **ლ. პ. ბერიას** ინიციატივით დაიწყო, ჩვენი ოლქის მშრომელთა კიდევ ერთი დიდი გამარჯვებაა.

ჭეხუხს ოვაცია, გაისმის მისასალმებელი შეძახილები სოციალიზმის დიად გამარჯვებათა ორგანიზატორის გენიალური **სტალინისა** და მის სახელოვან თანამებრძოლთა პატივსაცემად.

მიტინგზე მისასალმებელი სატყვა წარმოსთქვეს: **ამხ. უ. კოჩიევმა** — გორი-სტალინირის რკინიგზის ხაზას მშენებელთა **სახელით**, **მ. პლიევამ** — ოლქის კოლმეურნეთა **სახელით**, **გ. პარასტაევმა** მედიცინის მუშაკთა სახელით, **ვ. კუდუხოვმა** ახალგაზრდობის სახელით და გზათა სახალხო კომისარიატის რკინიგზის მშენებლობის ცენტრალური სამმართველოს უფროსის **მოადგილემ ამხ. ვ. რომანოვმა.**

მისასალმება დამთავრდა. პოეტი **ი. კაჩმაზოვი** აქვეყნებს სამხრეთ-ოსეთის მშრომელთა მიერ დიდი **სტალინისადმი** გასაგზავნ წერილის ტექსტს. მოედანზე კვლავ გაისმის მქუხარე ხანგრძლივი ოვაცია.

მიტინგი ერთსულოვნად იღებს წერილის ტექსტს.

ვ. ი. ლენინის ძეგლის საფუძვლის ჩაყრა

მიტინგის შემდეგ ვაგზლის მოედანზე ზეიმით ჩაუყარეს საფუძველი კაცობრიობის გენიოსის **ვ. ი. ლენინის** ძეგლს.

კოსტა ხეთაგუროვის ძეგლის გახსნა

ქალაქის ცენტრში გამართულ ბაღში შარშან შემოდგომაზე ხეთაგუროვის ძეგლის დადგმის დროს საფუძველი ჩაუყარეს ოსეთის დიდი პოეტის კოსტა ხეთაგუროვის ძეგლს.

ამჟამად ბაზალტის კვარცხლბეკზე აღმართულია პოეტის ფიგურა, რომლის სიმაღლე 3 მეტრს უდრის. აქ გაიმართა ძეგლის გახსნისადმი მიძღვნილი მიტინგი.

ზლუდერის მთაზე

საღამოს 5 საათია. მრავალი ავტომანქანა ერთმანეთის მიყოლებით მიემართება ლიახვის მარცხენა ნაპირას აღმართულ ზლუდერის მთისაკენ. აქედან მოსჩანს მშვენიერი ხედი ტირიფონის ველისა, ლიახვის ხეობა, ქალაქი სტალინირი და მისი მიდამოები.

ზლუდერის მთას კარგად იცნობენ არამარტო სამხრეთ-ოსეთის, არამედ მეზობელი რაიონების მშრომელნიც. აქ 20 წლის წინათ, ქართველი ხალხის უბოროტესმა მტრებმა, საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტებმა — საზიზღარმა მენშევიკებმა მხეცურად დახვრიტეს 13 კომუნარი. 20 წლის შემდეგ თავისუფლებისათვის და თავის ქვეყნის ბედნიერებისათვის მამაც მებრძოლთა საფლავზე მოვიდნენ სტალინირის პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები და აგრეთვე სამხრეთ-ოსეთის მშრომელთა ზეიმზე მოსული სტუმრები, რათა ვალი მოიხადონ უთანასწორო ბრძოლაში დაღუპულთა გმირების წინაშე, — საფუძველი ჩაუყარონ ობელისკს მათს საფლავზე.

საქართველოს კ. პ. (ბ) სტალინირის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. ვ. ვალიევი კომუნართა საფლავზე მიტინგს ხსნის. ამხ. ბ. გალაევი ლაპარაკობს ოსი მშრომელი ხალხის წარმოებულ ბრძოლაზე საზიზღარ მტრებთან — მენშევიკებთან.

— იმ საქმეს, რომლისთვისაც ჩვენი ძვირფასი ამხანაგები დაიღუპნენ უკვე გაიმარჯვა. **ლენინ-სტალინის** პარტიამ ააღორძინა ჩვენი ქვეყანა, დიდმა **სტალინმა** ბედნიერი, თავისუფალი ცხოვრება მოგვანიჭა. სამხრეთ-ოსეთის მშრომელთა გულში უკვდავი იქნება იმ მებრძოლთა ხსოვნა, რომელნიც თავიანთი სამშობლოს ბედნიერებისათვის ბრძოლაში დაიღუპნენ.

მოხუცმა კოლმეურნემ, 1920 წლის აჯანყების მონაწილემ **ამხ. დ. სანაკოევმა** გაიხსენა წარსული ამბები, ის ვითარება რომელშიაც გმირები დაიღუპნენ. იგი მადლობას უძღვნის ლენინ-სტალინის პარტიას იმ ბედნიერი ცხოვრებისათვის, რომელიც სამხრეთ-ოსეთის მშრომელებმა მოიპოვეს.

საიუბილეო სესიაზე

სტალინირი, 29 ივლისი (საქინფორმი). 28 ივლისს, საღამოს 8 საათზე ჯოსტა ხეთაგუროვის სახელობის სტალინირის სახელმწიფო თეატრის შენობაში, საზეიმო ვითარებაში გაიხსნა მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს საიუბილეო სესია, მიძღვნილი სამხრეთ ოსეთში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების 20 წლისთავისადმი. თეატრის დარბაზი სავსე იყო ოლქის მოწინავე ადამიანებით — სტალინირის საწარმოთა და საკოლმეურნეო მინდვრების სტახანოველებით, ხელოვნების და მეცნიერების მუშაკებით. დამსწრეთა შორის არიან: საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. **ი. თავაძე**, საქართველოს კ. პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. **ვ. ცხოვრებაშვილი**, მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ-ოსეთის საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. **ვ. ხუბაევი**, წარჩინებული კოლმეურნე **მ. პლიევა**, პოეტები და მწერლები: **ი. აბაშიძე, ხ. პლიევი, ვ. გორგაძე, კ. ქალაძე, რეჟისორი ნ. შენგელაია** და სხვ.

სამხრეთ-ოსეთში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების 20 წლისთავის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. **ვ. ხუბაევმა.**

— წინად ჩამორჩენილი ხალხების კულტურისა და მეურნეობის აყვავებისათვის დიდი **სტალინის** მუდმივი მზრუნველობის წყალობით, — ამბობს ამხ. ვ. ხუბაევი, — სახელოვანი ქართველი ხალხის, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სამხრეთ-ოსეთის ხალხის მეგობრის ლავრენტი პავლეს-ძე **ბერიას** მუდმივი დახმარების წყალობით, ჩვენს ოლქს უდიდესი მიღწევები აქვს სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე. ყველა გლეხური მეურნეობის 99,4 პროცენტი გაერთიანებულია კოლმეურნეობებში. 17 წლის წინათ ოლქში 78.114 სული პირუტყვი ითვლებოდა, ხოლო ამჟამად 250.590 სული ითვლება. იზრდება და ვითარდება მრეწველობა. სამხრეთ - ოსეთის მშრომელთა ცხოვრებაში დიდ მოვლენად უნდა ჩაითვალოს მათი საუკუნოვანი ოცნების — გორი-სტალინირის რკინიგზის მშენებლობის განხორციელება, იმ რკინიგზისა, რომელიც დღეს საექსპლოატაციოდ გადაეცა. მშიერი საქართველოს სს რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარი ამხ. **გ. კიკნაძე**, საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხ. **მ. პლიევა**, წარჩინებული კოლმეურნე ამხ. **მ. პლიევა**, პედაგოგი — ორდენოსანი **პ. კაპანაძე, გ. გლურჯიძე** და სხვ.

სამხრეთ-ოსეთში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების 20 წლისთავის შესახებ მოხსენება გააკეთა **ამხ. ვ. ხუბაევმა.**

სესიის შემდეგ საზეიმო კონცერტი გაიმართა.

პირველი მატარებელი ქალაქ სტალინირში. ფოტო ვლ. გინზბურგისა

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

იმ მუშათა, კოლმეურნეთა და ინჟინერ - ტექნიკური მუშაკთა დაჯილდოების შესახებ, რომელთაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი გორი — სტალინირის რკინიგზის ხაზის მშენებლობაზე

გორი—სტალინირის რკინიგზის ხაზის მშენებლობის დამთავრებასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელით დაჯილდოებულ იქნან შემდეგი მუშები, კოლმეურნენი და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, რომელთაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი:

1. რუტენ ბესარიონის-ძე **აბაევი** — უბნის სამუშაოს მწარმოებელი;
2. ვიქტორ ზაქარიას-ძე **ალბაროვი**—საქართველოს კ. პ. (ბ) ლენინგორის რაიკომის მდივანი—ხიდის მშენებლობის უფროსის მოადგილე პოლიტნაწილში;
3. ილია პავლეს-ძე **პედოევი**—სოფელ ლენინგორის კოლმეურნეობის ბრიგადირი;
4. ივანე ზაქარიას-ძე **ბერიანიძე** სოფელ დიდიანეთის კოლმეურნეობის წევრი;
5. ბორის პეტრეს-ძე **ბესტაევი**—სოფელ მუგუთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე;
6. გიორგი ფარსადანის-ძე **ბუკულაშვილი**—უბნის სამუშაოს მწარმოებლის თანაშემწე პოლიტნაწილში;
7. ოლღა მალხაზის-ასული **ვალიევა**—სოფელ კროზის კოლმეურნეობის წევრი;
8. ლეონტი დავითის-ძე **გაბარაშვილი**—მიწისმთხრელი მუშა;
9. საველი ციცოს-ძე **გაგლოევი**—სოფელ იორჩის კოლმეურნეობის წევრი;
10. დიმიტრი ივანეს-ძე **გაზაევი**—ხიდის მშენებლობის მუშა;
11. მარიამ საჩინოს-ასული **გოგიჩვა**—სოფელ დიდმუხის კოლმეურნეობის წევრი;
12. ეკატერინე მათეს-ასული **ჯოიევა**—ფერშალი ქალი;
13. მელიტონ ღვთისოს-ძე **ჯიოევი**—სოფელ ხეთაგუროს კოლმეურნეობის თავმჯდომარე;
14. ნიკოლოზ დიმიტრის-ძე **ელოევი**—სოფელ ორჩოსნის კოლმეურნეობის წევრი;
15. მართა ოსიპის-ასული **ყიგულინა**—შავ მუშათა ბრიგადირი;
16. გიორგი ივანეს-ძე **კაჟაშვილი**—საამშენებლო უბნის სამუშაოს მწარმოებელი;
17. შალვა მაქსიმეს-ძე **კახნიაშვილი**—ჭორთის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე;
18. დავით ივანეს-ძე **კერესელიძე**—პირველი საამშენებლო უბნის უფროსი;
19. ვასილ ანდრიას-ძე **კოვალიოვი**—ხიდის მშენებლობის ბეტონხუროობის საამქროს უფროსი;
20. დიმიტრი პოლიკარპეს-ძე **კოჟინი** — მშენებელი ოსტატი—უბნის სამუშაოს მწარმოებლის თანაშემწე;
21. უმარ სტეფანეს-ძე **კოჩიევი**—გორი—სტალინირის რკინიგზის ხაზის მშენებლობის უფროსი;
22. სერგი იოსების-ძე **მაისურაძე**—სოფელ ძარის კოლმეურნეობის თავმჯდომარე;
23. მაქსი თომას-ძე **მამითოვი** — სოფელ ზემო დმენისის კოლმეურნეობის წევრი;
24. მელიქსედექ სიმონის-ძე **მახარაძე**—ექიმი;
25. ლეონიდე თომას-ძე **მურაშკო**—სსრკ გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებული მშენებლობაზე;
26. სიმონ ანდრიას-ძე **ნაბოკი** — ბეტონის სამუშაოს ოსტატი;
27. კონსტანტინე ათანასეს-ძე **ნიკოლაიშვილი** — რკინიგზის ხაზის მშენებლობის სამმართველოს უფროსის მოადგილე;
28. ნიკოლოზ ათანასეს-ძე **პლატოვი**—ხიდის მშენებლობის საკესონო საამქროს უფროსი;
29. კორნელი ანდრიას-ძე **რამიშვილი** — გზათა სახალხო კომისარიატის „ცუქელდორსტროის“ დამკვეთის ჯგუფის ინსპექტორი;
30. სტეფანე ივანეს-ძე **რუხოვეცი**—ხიდის მშენებლობის მთავარი ინჟინერი;
31. დიმიტრი დიმიტრის-ძე **სანაკოევი**—უბნის საძუშაოს მწარმოებლის ა.ანაშემწე პოლიტნაწილში;
32. ალექსი ამზორის-ძე **ტაბატაძე**—ავნევის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე;
33. პავლე ისაკის-ძე **თედეევი** — სოფელ იორჩის კოლმეურნეობის წევრი;
34. მურთა ხარიტონის-ძე **თებილოვი**—მშენებლობის მიწისმთხრელი;
35. ხარიტონ შამელის-ძე **ხარებოვი**—სოფელ მუგუთის კოლმეურნეობის წევრი;
36. ანდრია ირაკლის-ძე **ცქიტიშვილი**—მდ. მტკვარზე ხიდის მშენებლობის უფროსი;
37. ალექსანდრე ხორხინის-ძე **ცხოვრებოვი**—საქართველოს კ. პ. (ბ) სტალინირის რაიკომის მდივანი—მე-2 საამშენებლო უბნის უფროსის მოადგილე პოლიტნაწილში;
38. ფოროსტი ივანეს-ძე **ჩიქობავა** — მიწის სამუშაოს მშენებელი ოსტატი;
39. ხეთაგუროს სახელობის კოლმეურნეობა — სტალინირის რაიონის სოფელი ხეთაგური;
40. კოლმეურნეობა „წითელი ვარსკვლავი“—სტალინირის რაიონის სოფელი დიდი ძარცემი;
41. ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობა — ზნაურის რაიონის სოფელი ავნევი;
42. 13 კომუნარის სახელობის კოლმეურნეობა—ზნაურის რაიონის სოფელი იორჩა;
43. კოლმეურნეობა „სარიბარი“—ლენინგორის რაიონის სოფელი წიწაროი;
44. კოლმეურნეობა „ლენინის გზით“—ლენინგორის რაიონის სოფელი იკოთი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
შ. მახარაძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოვალეობის აღმსრულებელი ა. ჯორბენაძე

1940 წლის 27 ივლისი, თბილისი.

სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღე თბილისში

თბილისის ახალგაზრდობის საზეიმო კრება

უძლეველი საბჭოთა ქვეყნის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღე დიდი ზეიმითა და საყოველთაო-სახალხო დღესასწაულად აღნიშნეს თბილისის მშრომელებმა. ამ დღის აღსანიშნავად 28 ივლისს ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში შესდგა საქ. ალკპ თბილისის კომიტეტის მიერ მოწვეული ახალგაზრდობის საზეიმო კრება. 3.000-მდე კომკავშირელმა და კავშირგარეშე ახალგაზრდამ მოიყარა აქ თავი.

საღამოს 9 საათზე პარკის საკონცერტო ესტრადის მოედანი აივსო თბილისის ახალგაზრდობით. სცენაზე, პრეზიდიუმის მაგიდასთან იყვნენ წითელფლოტელთა წარმომადგენლები და თბილისის კომკავშირული ორგანიზაციის ხელმძღვანელი მუშაკები. თბილისის ახალგაზრდობის საზეიმო კრება, მიძღვნილი სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღისადმი, გახსნა საქ. ალკპ თბილისის კომიტეტის მდივანმა **ამხ. გ. ცქიტიშვილმა.** კრების გახსნისას წარმოთქმული სიტყვაში მან აღნიშნა, რომ ლენინურ-სტალინური კომკავშირი, რომელიც შეფობს საბჭოთა ქვეყნის სამხედრო-საზღვაო ფლოტს, მოწინავე ადამიანებს, ჩვენი დიადი სამშობლოსათვის, ლენინ-სტალინის პარტიისათვის, დიდი **სტალინისათვის** თავდადებულ პატრიოტებს.

ამხ. ლელინის წინადადებით საზეიმო კრების საპატიო პრეზიდიუმში ერთხმად აირჩიეს დიდი **სტალინი** და მისი უახლოესი თანამებრძოლები — **მოლოტოვი, ვოროშილოვი, კაგანოვიჩი, კალინინი, ანდრეევი, ჟდანოვი, მიქოიანი, ხრუშჩოვი, ბერია, შვერნიკი,** ოვაციაცვის სახალხო კომისარი **ამხანაგი ტიმოშენკო**, ადმირალი **კუზნეცოვი** და **ამხანაგი დიმიტროვი.**

ამხანაგ სტალინისა და მისი თანამებრძოლების კრების საპატიო პრეზიდიუმში არჩევას საზეიმო კრების მონაწილენი ხანგრძლივი ოვაციებით და მისასალმებელი შეძახილებით შეხვდნენ.

სამხედრო - საზღვაო ფლოტის დღის მნიშვნელობის შესახებ კრებაზე მოხსენებით გამოვიდა **ამხ. ვასლუევი.** მომხსენებელმა მოიყვანა ცნობები სხვადასხვა კაპიტალისტური ქვეყნების სამხედრო-საზღვაო ძალთა მდგომარეობის შესახებ და აღნიშნა, თუ როგორ შეიძლებიან იზრდება საბჭოთა ქვეყნის სამხედრო-საზღვაო ფლოტი, რომელსაც ყოველდღიურ მზრუნველობას და დახმარებას უწევს დიდი **სტალინი.**

მოხსენების შემდეგ თბილისის ახალგაზრდობას კასპიის სამხედრო ფლოტილიის წითელმოტოფლოტელთა, მეთაურთა და პოლიტმუშაკთა სახელით მიესალმა **ამხ. გორბაჩიკო.**

დასასრულ საზეიმო კრებამ მისასალმებელი დეპეშით მიმართა ხალხთა ბელადს **ამხანაგ სტალინს.**

მასობრივი ზეიმი ღიხის ჭაზე და მცხეთაში

საბჭოთა ქვეყნის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს—28 ივლისი — თბილისის მშრომელებმა აღნიშნეს მასობრივი ზეიმით ღიხის ტბაზე და მცხეთის წყალსადგურზე.

რამდენიმე ათასმა მშრომელმა მოიყარა ამ დღეს თავი ღიხის ტბაზე. ველოსიპედებით, მოტოციკლებით და ავტომობილებით დაიძრნენ დილადანვე ღიხის ტბისაკენ მშრომელები. ტბის ბაღნარად ქცეულ მიდამოებში ტევა არ იყო. პლიაჟიც სავსე იყო ხალხით.

სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღისადმი მიძღვნილი ზეიმი დაწყებულ იქნა ნავების პარადით. მწყობრში ჩამდგარ და ხალხით სავსე ნავების ქარავანს წინ გაუძღვა ღიხის ტბაზე ამ დღეს პირველად გამოტანილი გლისერი და ნავი, რომელზედაც ორკესტრი იყო. ორკესტრმა სამხედრო-საზღვაო ფლოტის მარში დაკვრა და დაიძრა ნავების ქარავანი. ფრად-ფრადი დროშებით მორთულ პლიაჟზე თავმოყრილ ხალხს თავზე გადაუქროლეს სწრაფმხრბოლმა თვითმფრინავებმა.

პარადის შემდეგ დაიწყო შეჯიბრებები ცურვასა, ნიჩბოსნობასა და წყლის სპორტის სხვა სახეობებში.

ბოლოს გაიმართა მასობრივი სეირნობა ნავებით.

○

მცხეთაში, წყალსადგურის პავილიონსა და სანაპიროზე დიდძალმა ხალხმა, უმრავლესად ახალგაზრდობამ მოიყარა თავი. დაიწყო შეჯიბრებები ცურვასა, წყლის პოლოსა და ნიჩბოსნობაში. მცხეთის ბაღებსა და პარკში მშრომელები ისვენებდნენ, დროს ატარებდნენ, მხიარულობდნენ.

სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღისადმი მიძღვნილი ზეიმი საღამომდე გაგრძელდა. 28 ივლისი—სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღე თბილისის საზაფხულო პარკებში აღინიშნა მასობრივი სახალხო სეირნობების მოწყობით და კარნავალებით.

პიონერთა და მოსწავლეთა პარკში სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღის აღსანიშნავად გაიმართა პიონერთა საქალაქო შეკრება, რომელსაც 3.000-მდე ბავშვი დაესწრო. შეკრების დაწყებამდე გაიხსნა ფოტო-გამოფენა, მიძღვნილი წითელფლოტელთა ყოფაცხოვრებისადმი.

სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში გაიმართა დიდი სახალხო სეირნობა, რომელსაც 30.000-ზე მეტი მშრომელი დაესწრო.

ასევე კარგად აღინიშნეს ეს დღე თბილისის სხვა საზაფხულო პარკებში.

პარტიული ცხოვრება

ვზარლოთ კომუნისტთა აქტივობა

თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხანა სამარცხვინოდ ჩამორჩენილი იყო საწარმოო-საფინანსო გეგმების შესრულებაში. ჩამორჩენა უმთავრესად აიხსნებოდა ქარხნის პარტორგანიზაციისა და დირექციის არადამაკმაყოფილებელი მუშაობით. მართალია, პარტიულ კრებაზე საწარმოო ხასიათის საკითხებს ხშირად იხილავდნენ, სახავდნენ პრაქტიკულ ღონისძიებებს, მაგრამ მათი განხორციელებისათვის ნაკლებად ზრუნავდნენ. არც ამჟამად გვაქვს სახარბიელო მდგომარეობა. ჩამორჩენა გვლავ გრძელდება.

რაშია საქმე, რატომ ვერ ასრულებს ქარხანა საწარმოო-საფინანსო გეგმებს?

ზოგჯერ ამ კითხვაზე ქარხნის ხელმძღვანელებიც ვერ იძლევიან სწორ პასუხს.—ჩამოვრჩებით, ყველაფერი რიგზე არა გვაქვს, საჭიროა ღონისძიებების დასახვაო,—ასე გვიპასუხებენ ისინი.

ჩვენც ვეთანხმებით ამაში. საჭიროა პრაქტიკული ღონისძიების დასახვა, მაგრამ ერთი წუთითაც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მიღებულ გადაწყვეტილებას განხორციელება სჭირდება, ნაკისრ ვალდებულებას შესრულება უნდა.

სამწუხაროა ის არის, რომ ზოგჯერ პარტიულ კრებაზე გამოაქვთ სერიოზული საკითხი, მაგრამ ამ საკითხის შესახებ წინასწარ არაფერი იციან კომუნისტებმა. ცხადია, ამ შემთხვევაში პარტიის წევრებისა და ცანდიდატების აქტივობა ნაკლები ხქნება.

მიმდინარე წლის 7 მაისს პარტორგანიზაციის ხელმძღვანელებმა გადასწყვიტეს 8 მაისს ჩაატარონ პარტიული კრება. მოიწვიეს ბიუროს სხდომა, შეიმუშავეს კრების დღისწესრიგი და გამოაკრეს განცხადება პარტიული კრების მოწვევის შესახებ. მართალია, ზოგიერთმა კომუნისტმა მოასწრო განცხადების წაკითხვა, გაეცნო დღის წესრიგს, მაგრამ ეს ხომ საკმარისი არ არის. საჭირო იყო ყველა კომუნისტი 3-4 დღით ადრე გაცნობოდა დღისწესრიგს და ამათუმ საკითხზე გამოყოფილ მომხსენებელს. სწორედ ამიტომ მოხდა, რომ კრებას 150 კომუნისტიდან მხოლოდ 101 კაცი დაესწრო.

კრებაზე მოსმენილ იქნა ქარხნის დირექტორის ამხ. ნ. ორჯონიკიძის მოხსენება საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის სახელობის რაიკომის მეორე პლენუმის შედეგებზე—სტახანოველებსა და მრავალდაზგისნებს შორის მუშაობის შესახებ. როგორც სჩანს საკითხი მეტად საინტერესოა, მით უმეტეს, როცა აღნიშნულ ქარხანაში ამ მხრივ არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ.

მომხსენებელმა საათზე მეტი ილაპარაკა, მაგრამ კამათში მონაწილეობის მსურველი ძალიან ცოტა აღმოჩნდა. 101 კომუნისტიდან კამათში მხოლოდ 4 კაცი გამოვიდა.

ჩვენ არ ვამბობთ იმას, რომ აქ თითქოს ყოველთვის მოუმზადებლად ტარდებოდეს კრება. ხშირად პარტბიურო სერიოზულად ემზადება კრებისათვის, წინასწარ აცნობს კომუნისტებს დღისწესრიგსა და მოიხსენებლებს. მაგალითად, 22 ივლისს ჩატარებულ კრებას მხოლოდ 5 კომუნისტი არ დაესწრო. კრებაზე მოსმენილ იქნა ლენინის სახელობის პარტრაიკომის მდივნის ამხ. მ. ჩუბინიძის მოხსენება—პარტიაში ახალ წევრთა მიღების შესახებ. ეს კრება კომუნისტთა დიდი აქტივობით ჩატარდა. ასევე წარმატებით ჩატარდა პარტიული კრება 28 მაისს.

აქედან დასკვნა: პარტორგანიზაციის ხელმძღვანელებს შეუძლიათ ყოველთვის მაღალხარისხოვნად ჩაატარონ პარტიული კრება, მათ შესწევთ ამის უნარი. მაგრამ საჭიროა მონდომება, საქმით მეტი დაინტერესება.

მ. თევზაძე

პარტკრებისათვის საკითხებს წინასწარ არ ამზადებენ

კითხულობთ თბილისის კამოს სახელოსნის დაზგათმშენებელი ქარხნის პარტორგანიზაციის კრებების ოქმებს და მაშინვე თვალში გეცემათ ერთი მეტად საყურადღებო ფაქტი: ყოველ კრებაზე სიტყვით გამოდიან სულ ერთი და იგივე ადამიანები. გ. ცვეტოვი, დ. აბულაძე, გ. არუნაკოვი, გ. სუნაევი, ვ. გასილიევი—აი მუდმივ მოკამათეთა მოკლე სია. სხვა კომუნისტები იშვიათად თუ გამოვლენ სიტყვით. 29 კომუნისტს ამ ნახევარი წლის განმავლობაში ერთი წინადადებაც კი არ შეუტანია კრებაზე. ის ამხანაგები არიან—სტახანოველი ზეინკალი, პარტიის წევრი ამხ. მ. პიგარევი, ქარხნის დისპეტჩერი, პარტიის წევრი ამხ. ან. თუსუზიანი, ჩამომსხმელი საამქროს მუშა-ქალი, პარტიის წევრობის კანდიდატი ამხ. ა. პანკოვა და სხვ. ნუ თუ მათ არ აინტერესებთ პარტორგანიზაციისა და ქარხნის მუშაობის საკითხები? რატომაც არა. ისინი კარგად მუშაობენ თავიანთ პოსტებზე, მათაც ახარებს მიღწევები, აწუხებთ ნაკლოვანებები, შეუძლიათ მშვენიერი წინადადებები წამოაყენონ თავიანთი საამქროს ან ბრიგადის მუშაობის გასაუმჯობესებლად, მაგრამ, საწარმოო საკითხები პარტბიუროს (მდივანი — ა. ციტოხცევი) ნაკლებად გამოაქვს კრებაზე, იგი ნაკლებად ზრუნავს პარტიული კრების მომზადებისათვის. არავინ ამოწმებს კრებაზე მიღებული დადგენილების შესრულებას.

მიმდინარე წლის 31 იანვარს პარტორგანიზაციის კრებამ მოისმინა ქარხნის დირექტორის მოხსენება გასული წლის საწარმოო გეგმის შესრულების შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა ძირითადი პროდუქციის გამოშვებაში არსებული ჩამორჩენა და სხვა ნაკლოვანებანი. მოხსენების გარშემო მხოლოდ ორი კომუნისტი გამოვიდა. დასასრულ, გამოჰყვეს კომისია პრაქტიკული ღონისძიებების შესამუშავებლად. აშკარაა, რომ ეს კრება არ იყო მომზადებული. რა სარგებლობა მოაქვს ასეთ კრებას?

თვითეული პარტიული კრების ღირსება მის მიერ მიღებულ დადგენილებათა მოქმედიანობაშია. სწორედ ეს ღირსება აკლია კამოს სახელობის ქარხნის პარტორგანიზაციის კრებებს, მაგალითად, მიმდინარე წლის მარტში პარტიულმა კრებამ დასახა ღონისძიებები ქარხნის წევრკანდიდატთა შორის მუშაობის გაუმჯობესებისათვის, მაგრამ ეს ღონისძიებანი ქაღალდზე დარჩა. წევრკანდიდატთა უმრავლესობას სამხედროთავდაცვითი ნორმები დღესაც არა აქვს ჩაბარებული, მათთან მასობრივი-პოლიტიკური მუშაობაც სუსტად არის დაყენებული. ავიღოთ მეორე მაგალითი: ამა წლის 21 ივნისს პარტიულმა კრებამ მიიღო საქმაოდ ვრცელი დადგენილება სტახანოველებთან, მრავალდაზგისნებთან მუშაობის შესახებ. დადგენილების ერთ პუნქტში ვკითხულობთ —დეკადის განმავლობაში შესწავლილ იქნას თუ რატომ ვერ ასრულებს ნორმებს მექანიკური საამქროს ზოგიერთი მრავალდაზგისანი. ამ დადგენილების მიღების შემდეგ მეოთხე დეკადაც გადის და მის შესრულებაზე არავის უზრუნვია. ასეთივე ბედი ეწია დადგენილების სხვა პუნქტებსაც.

რატომ არ სრულდება პარტიული კრების დადგენილება? იმიტომ, რომ მის შესრულებას არავინ ამოწმებს. ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ პარტიულ კრებას მოესმინა ინფორმაცია წინა კრებებზე მიღებული დადგენილებების შესრულების შესახებ. ამგვარ პირობებში კომუნისტთა ერთი ნაწილი უპასუხისმგებლოდ ეკიდება კრების დადგენილების ან ცალკეული დავალების შესრულებას.

პარტბიურო ნაკლებად ზრუნავს იმის შესახებ, რომ კრებებზე გამოითქვას აქტუალური და საინტერესო საკითხები; ქარხანამ ნახევარი წლის საწარმოო გეგმა 92 პროცენტით შეასრულა. რატომ გვაქვს ჩამორჩენა? რა ზომები უნდა მივიღოთ ჩამორჩენის სალიკვიდაციოდ? ასეთი საკითხები ჯერ არ მდგარა პარტიული კრების წინაშე. ან და ავიღოთ ოსტატის როლის ამაღლების, პროდუქციის ხარისხისათვის ბრძოლის, ცალკეული საამქროს მუშაობის და სხვა საკითხები. არცერთი მათგანი პარტიული კრების მსჯელობის საგანი არ გამხდარა. ქარხნის კომუნისტები დაინტერესებული არიან ზემოაღნიშნული საკითხებით, პარტბიურო კი ამ მდგომარეობას ყურადღებას არ აქცევს, კრების მომზადებაზე ნაკლებად ზრუნავს, დადგენილების შესრულებას არ ამოწმებს.

აქ. შონია

კომუნისტთა კრებაზე დასწრება უნდა შევისწავლოთ

პარტიული კრება კომუნისტთა ბოლშევიკურად აღზრდის სკოლაა. იმ პარტიულ ორგანიზაციებში, სადაც კრების მომზადების საქმე კარგად არის დაყენებული და თვითეული საკითხი გულდასმით არის მომზადებული და განხილული, უსათუოდ მუშაობაც ნაყოფიერია.

თბილისის აბრეშუმსაქსოი ფაბრიკის პარტორგანიზაცია (პარტბიუროს მდივანი ამხ. ს. გოგუა), ვიდრე პარტიულ კრებაზე გაიტანდა მოსამზადებელი საამქროს მუშაობის გეგმის შესრულებისა და ხარისხის გაუმჯობესების საკითხს, მან იგი ჯერ ბიუროზე მოისმინა. საქმის ღრმად შესასწავლად გამოჰყვეს კომისია სამი კაცის შემადგენლობით. მოისმინეს აგრეთვე მოსამზადებელი საამქროს უფროსის ამხ. დოლიძის მოხსენება. მხოლოდ ყოველმხრივ შესწავლის შემდეგ საკითხი გატანილ იქნა პარტიულ კრებაზე. ასეთი მეთოდით მუშაობა არამც თუ მიიზიდავს კომუნისტებს კრების მომზადების საქმეში, არამედ ორგანიზაციის ყველა წევრს მისცემს საშუალებას წინასწარ მოემზადოს პარტიული კრებისათვის.

სამწუხაროდ პარტორგანიზაციის მრავალი ხელმძღვანელი კრების მომზადებისა და ჩატარების საკითხს ფორმალურად უდგება.

ორჯონიკიძის რაიონის საბინაო სამმართველოს პარტიულ ჯგუფზე (პარტბიუროს მდივანი ამხ. შ. კალანდაძე), სადაც განიხილეს საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის II პლენუმის შედეგები, საკითხი არ იყო წინასწარ მომზადებული, და დადგენილებაც ზოგადი მიიღეს:

„1. დაევალოს პარტწევრკანდიდატებს სისტემატურად დაესწრონ ლექციებს პარტკაბინეტში და კეცხოველის სახლში და სხვ. 2. შემოღებულ იქნას წესად ლექციების მოსმენის დროს ადგენდენ კონსპექტს“ და ა. შ.

ამ ორგანიზაციაში პარტიულ კრებაზე დამსწრე კომუნისტების აღრიცხვაც არ არის მოწესრიგებული. პარტიული ორგანიზაციის მუშაობის შემოწმებისას საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ინსტრუქტორი შეეკითხა პარტბიუროს მდივანს: „რატომ არ აწარმოებთ კომუნისტების კრებაზე დასწრების აღრიცხვას?“ ამხ. კალანდაძემ უპასუხა: მე ასე უფრო მეხერხება მუშაობა, რა საჭიროა გვარების ჩაწერა, როდესაც ზეპირად მახსოვს ვინ სტოვებს კრებებსო.

პარტბიუროს მდივნის ასეთი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება ვერ უზრუნველჰყოფს პარტიული კრების მნიშვნელობის ამაღლებას.

ელ. ჩიტიშვილი

პარჯიული კრებებს მომზადებულად ატარებენ, მაგრამ...

კარგად მომზადებულ პარტიულ კრებას სერიოზული მნიშვნელობა აქვს კომუნისტების ბოლშევიკურად აღზრდისათვის.

თბილისის ვ. მოლოტოვის სახელობის ავეჯკეთილობის ფაბრიკის პარტიული ორგანიზაცია (პარტბიუროს მდივანი ამხ. პ. ძურძოკი), სანამ პარტიულ კრებას მოიწვევდეს, 3 ან 4 დღით ადრე თვალსაჩინო ადგილას გააკრავს განცხადებას (ქართულ და რუსულ ენაზე), სადაც ნაჩვენებია კრების მოწვევის დრო, კრების ჩატარების ადგილი და დღისწესრიგი.

მიუხედავად ამისა, პარტბიუროს მდივანს თავის მუშაობის პრაქტიკაში შემოღებული აქვს ასეთი წესი: კრების დაწყების წინ 1 ან 2 დღით ადრე პარტბიუროში გამოიძახებს ხოლმე კომუნისტებს, რომელთაც დაწვრილებით გააცნობს პარტიული კრების დღისწესრიგს და ამზადებს ცალკე ამხანაგებს პარტიულ კრებაზე აქტიური მონაწილეობისათვის.

მაგალითად, 10 ივლისს შესდგა პარტიული კრება. დღისწესრიგში იყო მხოლოდ ერთი საკითხი: ფაბრიკის დირექტორის მოხსენება ნახევარი წლის მუშაობის შედეგებზე და მიმდინარე წლის მეორე ნახევრის ამოცანებზე.

მოხსენების ირგვლივ კამათში სიტყვებით გამოვიდნენ ამხანაგები, რომლებმაც აღნიშნეს, როგორც მიღწევები, ისე მუშაობაში ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებები.

დასასრულ პარტიულმა კრებამ მიიღო კონკრეტული ღონისძიებები მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. კონკრეტული ღონისძიებების თვითეულ პუნქტთან ნაჩვენებია დრო თუ როდის უნდა შესრულდეს ესათუის ღონისძიებები. შესრულების შემოწმებას ახდენს პირადად პარტბიუროს მდივანი.

მაგრამ ყოველთვის ასე როდი ხდება. მაგალითად, 23 ივნისს ჩატარდა დაბურული პარტიული კრება. დღისწესრიგში იყო საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის II პლენუმის შედეგები. პარტიულ კრებაზე მოხსენებით გამოვიდა ფაბრიკის მთავარი ინჟინერი ამხ. გ. მდივანი, რომელმაც იალპარაკა სტახანოველებთან მუშაობის შესახებ და აღნიშნა, რომ ზოგიერთი სტახანოველი ვერ ასრულებს საწარმოო გეგმას გადაჭარბებით. მაგალითად, ამხ. კრიჟანოვსკი (პარტიის წევრი) საწარმოო გეგმას ასრულებს 76,1 პროცენტით, ამხ. წიკლაური (კომკავშირელი) — 97 პროცენტით და სხვ.

კრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ კომუნისტები (სულ 10 კაცი), რომლებმაც აღნიშნეს მთელი რიგი ნაკლოვანებები სტახანოველებთან მუშაობის დარგში და ხაზი გაუსვეს იმასაც, რომ ფაბრიკის ადმინისტრაცია და პარტიული ორგანიზაცია ჯერ კიდევ სუსტად მუშაობენ ცალკეულ სტახანოველებთან და ნაკლებად ეხმარებიან მუშებს კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში.

კრებამ მიიღო სათანადო ღონისძიებები (11 პუნქტისაგან შემდგარი), მაგრამ სამწუხაროდ 23 ივნისიდან პარტბიუროს დღემდე არ შეუმოწმებია ღონისძიებების შესრულება, რაც ყოვლად შეუწყნარებელია.

არ უნდა დავივიწყოთ ის, რომ პარტიულ კრებაზე მიღებული კონკრეტული ღონისძიებები საქმის მხოლოდ დასაწყისია, მთავარია ბოლომდე მივსდიოთ ამ ღონისძიებათა ბოლშევიკურად განხორციელებას.

საკ. კ. პ. (ბ) წესდებაში აღნიშნულია პარტიის წევრების უფლებები, რომლებიც გამომდინარეობენ ბოლშევიკური პარტიის ორგანიზაციული პრინციპებიდან. პარტიის წესდების შესაბამისად კომუნისტმა პარტიულ კრებაზე აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს პარტიული პოლიტიკის საკითხების განხილვაში. აღნიშნულ ფაბრიკაში არიან ისეთი მოწინავე მუშები (კომუნისტები), რომლებიც პარტიულ კრებებზე ყოველთვის აქტიურად მონაწილეობენ და იძლევიან საქმიან შენიშვნებს, ასეთებია: გ. პავლიაშვილი, მიკირტიჩიანი, ოსკანიანი, ფერაძე და სხვ., მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც წარმოებაში საუკეთესოდ მუშაობენ, საწარმოო დავალებებს გადაჭარბებით ასრულებენ, ხოლო პარტიულ კრებებზე ნაკლებად მონაწილეობენ. ეს ამხანაგებია: გ. შოვნაძე, შ. ნეფარიძე, ვ. გიგაური, ბარსეგიანი და სხვ. რა თქმა უნდა, ეს მოწმობს იმას, რომ პარტიული ორგანიზაცია სუსტად მუშაობს კომუნისტებთან, ნაკლებად აბამს მათ პრაქტიკულ პარტიულ მუშაობაში, პარტიული კრებისათვის ცალკე საკითხების მომზადებაში.

კარგად მომზადებული პარტიული კრება, საუკეთესო თავდება კომუნისტების ბოლშევიკურად აღზრდისათვის, პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის შემდგომი აღმავლობისათვის.

გრ. ოდიშელი

პარჯიული კრების მომზადებულად ჩატარების პრაქტიკის შესახებ

თათბირი საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტში

გუშინ, საღამოს საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის სხდომათა დარბაზში შესდგა თბილისის მსხვილ საწარმოთა და დაწესებულებათა პირველადი პარტორგანიზაციების ბიუროების მდივნების თათბირი რაიკომის მუშაკებთან ერთად:

თათბირი გახსნა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. ე. ჩერქეზიამ.

თათბირის დღისწესრიგში იდგა საკითხი: პარტიული კრებების მომზადებულად ჩატარების პრაქტიკის შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე მოხსენებით გამოვიდნენ თბილისის მაუდის ფაბრიკის პარტორგანიზაციის ბიუროს მდივანი ამხ. გ. ჩარაევი, თბილისის საბჭოს აღმასკომის პარტბიუროს მდივანი ამხ. გ. ხოშტარია და ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის პარტორგანიზაციის ბიუროს მდივანი ამხ. ი. გუკასოვი.

მოხსენებათა გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ი. ბახტაძემ, გ. მღებრიშვილმა, ლ. ვეშნიაკოვმა, მ. წერეთელმა, მ. იაროვამ, დ. ბოლქვაძემ, ლ. ახვლედიანმა, ა. ლექსუტკინმა და ბ. ლელიძემ (საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგე).

თათბირის მუშაობა შეაჯამა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. ე. ჩერქეზიამ.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის პროპაგანდისტი ს. ბიბილეიშვილი (ცენტრში) მაუდის ფაბრიკაში ამეცადინებს საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელ წრეს.

ფოტო ჩერკასოვისა (საქდესის ფოტოქრონიკა)

სტალინის რაიონის პარჯაქტივის კრება

8 საათის სამუშაო დღეზე და 7-დღიან სამუშაო კვირაზე გადასვლის შესახებ და საწარმოებიდან და დაწესებულებებიდან მუშათა და მოსამსახურეთა თვითნებურად წასვლის აკრძალვის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 26 ივნისის ბრძანებულების ძალაში შესვლიდან ერთი თვის შემდეგ, 27 ივლისს, თბილისის სტალინის სახელობის რაიონის პარტიული აქტივის კრება რაიონის საწარმოებში და დაწესებულებებში ამ ისტორიული ბრძანებულების კანონის რეალიზაციის მიმდინარეობაზე მოისმინა პარტრაიკომის მდივნის ამხ. გ. გოჩაშვილის მოხსენება.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 26 ივნისის ბრძანებულების შემდეგ ბელადის სახელობის რაიონის მთელ რიგ საწარმოებში მნიშვნელოვნად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, განმტკიცდა შრომის დისციპლინა. მან დაასახელა უამრავი მაგალითები ლითონის კონსტრუქციების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, ქალინინის სახელობის მექანიკური და სხვა ქარხნების მუშებისა, რომლებიც დიდი გადაჭარბებით ასრულებენ ახალ ნორმებს.

ამხ. გოჩაშვილს მოჰყავს იმის მაგალითები, რომ ზოგიერთი საწარმო კვლავ ძველებურად განაგრძობს მუშაობას; „საქნავთის“ მექანიკურ სახელოსნოში დირექციისა და პარტორგანიზაციის დაუდევრობით დღემდე გადასინჯული არ არის გამომუშავების ნორმები. სახელოსნოში კვლავ ძველი ნორმებით მუშაობენ და იმასაც ვერ ასრულებენ. სამუშაო ადგილისა და იარაღების მოუმზადებლობის გამო თვითეულ მუშას ყოველდღიურად საშუალოდ 2 საათი უცდება.

შემდეგ მომხსენებელი ლაპარაკობს შრომის დეზორგანიზატორების, ფრენიებისა და გამცდენების შესახებ. სამწუხაროდ, ასეთი ადამიანები აქა-იქ პარტიის რიგებშიც არიან. პარტიის წევრი თ. გოგიშვილი პროფესიონალი ფრენიაა. მან პარტრაიკომს ისიც კი მოასხოვა, „გამგზავნეთ იქ, სადაც მეტი ხალტურა არისო“. ასევე მეორე ფრენიამ, პარტიის წევრმა მეხრიშვილმა, რომელმაც რამდენჯერმე თვითნებურად დასტოვა სამუშაო, რაიკომს მოსთხოვა გაეგზავნა ისეთ სამუშაოზე, სადაც ხელფასი არის არანაკლებ 1000 მანეთისა.

მომხსენებელი განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას შრომის დისციპლინის დამრღვევთა წინააღმდეგ პროკურატურისა და სასამართლო ორგანოების მუშაობაზე. 29 ივნისიდან 17 ივლისამდე რაიპროკურატურაში შრომის დისციპლინის დამრღვევთა შესახებ შესული 171 საქმიდან გამოძიებულია და სასამართლოსათვის გადაცემული მხოლოდ 78 საქმე, დანარჩენები დღემდე განხილვის სტადიაშია. სტალინის რაიონში ისეთ ფაქტსაც ჰქონდა ადგილი, როცა უდანაშაულო კაცი, სტახანოველი მისცეს პასუხისგებაში. I უბნის მოსამართლე ამხ. კობალაძე ზერელედ ეკიდებოდა საჩივნებელი პროცესების მოწყობას.

— პარტიული ორგანიზაციები,— განაცხადა მოხსენების დასასრულს ამხ. გოჩაშვილმა,—სამეურნეო ხელმძღვანელებთან ერთად პასუხისმგებელნი არიან 8 საათის სამუშაო დღის სრული დატვირთვით გამოყენებისათვის. ამ ამოცანის განხორციელებისაკენ უნდა წარმართონ პარტორგანიზაციებმა თავიანთი მუშაობა.

მოხსენების გარშემო კრებაზე გამოსულმა კომუნისტებმა, თითქმის ყველამ, ფაქტებით და ციფრებით ნათელჰყვეს ის წარმატებები, რომლებიც საწარმოებმა და დაწესებულებებმა მოიპოვეს 8 საათის სამუშაო დღეზე და 7-დღიან სამუშაო კვირაზე გადასვლის შემდეგ. მაგრამ ისინი განსაკუთრებით ჩერდებოდნენ ნაკლოვანებებზე; ტრამვაისა და ტროლეიბუსების ტრესტის სამმართველოს პარტბიუროს მდივანმა ამხ. ხასიამ აღნიშნა, რომ 26 ივნისის ბრძანებულების გატარების შემდეგ ტრესტს უნდა მიეღო ეკონომია ხელფასის ფონდში არა ნაკლებ 40 ათასი მანეთისა. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის მიღწეული.

ამხ. ჩარაევმა (მაუდ-კამვოლის ფაბრიკის პარტბიუროს მდივანი), როსტომაშვილმა (თამბაქოს ფაბრიკის დირექტორი), დარჩინიანმა (კინო-ასლების ფაბრიკის დირექტორი), სარჭისოვმა (ქალინინის სახელობის მექანიკური ქარხნის დირექტორი) და სხვ. ილაპარაკეს შრომის დისციპლინის დამრღვევთა წინააღმდეგ სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოების მუშაობის ნაკლოვანებებზე.

კომკავშირის სტალინის რაიონის მდივანმა ამხ. ჩუბინიძემ აღნიშნა, რომ შრომის დისციპლინას ზოგჯერ კომკავშირის წევრებიც არღვევენ, მაუდ-კამვოლის ფაბრიკიდან კომკავშირის წევრებს სულთანიშვილს, ტატანაშვილს და ქვრივიშვილს გაცდენისათვის სასამართლომ სამ-სამი თვით იძულებითი მუშაობა მიუსაჯა. ამ ამხანაგების საქმე ჯერ არ განუხილავს კომკავშირის ორგანიზაციას.

სტალინის რაიონის პროკურორმა ამხ. შამუგიამ თვითკრიტიკის წესით აღნიშნა ის ნაკლოვანებები, რაც შრომის დისციპლინის დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლაში რაიპროკურატურას გააჩნია. მანვე ილაპარაკა იმის შესახებ, რომ ზოგიერთ საწარმოდან (მაუდ-კამვოლის ფაბრიკა, თამბაქოს ფაბრიკა) პროკურატურას დროზე არ მისდის სრული მასალები შრომის დისციპლინის დამრღვევთა შესახებ.

ამხ. გოჩაშვილის საბოლოო სიტყვის შემდეგ პარტაქტივის კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელშიც დასახულია მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 26 ივნისის ბრძანებულების განუხრელად გატარებისათვის, რაიონის საწარმოებსა და დაწესებულებებში შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის.

პარტაქტივის კრებას ესწრებოდა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო - საინსტრუქტორო განყოფილების გამგე ამხ. ბ. ლელიძე.

თვითმფრინავ „უკრაინის“ ძირდაუშვებელი გადაფრენა ხაბაროვსკ-ლვოვის მარშრუტით

ცნობა 1940 წლის 27 ივლისის 21 საათისა და 00 წუთისათვის

განაგრძობდა რა დასახული კურსით ფრენას, თვითმფრინავი „უკრაინა“ 20 საათსა და 20 წუთზე მოსკოვის დროით იმყოფებოდა 150 კილომეტრზე ნოვოსიბირსკის ჩრდილოეთით.

თვითმფრინავს სტარტის მომენტიდან განუწყვეტლივ აქვს რადიოკავშირი მოსკოვთან.

ტაიშეტზე გაფრენის შემდეგ თვითმფრინავს ღამემ მოუსწრო.

ეკიპაჟის სულიერი განწყობილება კარგია.

ფრენა ნორმალურად მიმდინარეობს.

მთავკომბის კომისია.

ცნობა 1940 წლის 28 ივლისის 07 საათსა და 00 წუთისათვის

6 საათსა და 30 წუთზე თვითმფრინავი „უკრაინა“ სანჩურსკის რაიონში იმყოფებოდა.

მთელს წინა განვლილ უბანზე მეტეოროლოგიური პირობები მეტად მძიმე იყო. თვითმფრინავი მრავალი საათის განმავლობაში იძულებული იყო გაერღვია ჭექა-ქუხილის მძლავრი ღრუბლები, გადაელახა ძლიერი პირქარი, რამაც საწვავი მასალის საგრძნობი გადახარჯვა გამოიწვია. შემდეგაც გზაში მას მეტად რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში მოუწია ფრენა.

გაითვალისწინა რა ეს, კომისიამ საჭიროდ დაინახა შეეწყვიტა ფრენა. მაიღო რა მითითება ფრენის შეცვლის შესახებ, ამხ. ნესტერენკო მშვიდობით დაეშვა ისკოვოში.

მატერიალური ნაწილი რიგზეა.

ეკიპაჟი კარგად გრძნობს თავს.

მთავკომბის კომისია.

ცნობა 1940 წლის 28 ივლისის 06 საათსა და 00 წუთისათვის

28 ივლისს 5 საათსა და 29 წუთზე თვითმფრინავმა „უკრაინამ“ ყაზანის ჩრდილოეთით გადაიარა.

მდინარე ირტიშსა და ყაზანს შუა მდებარე უბანზე ფრენა მძიმე მეტეოროლოგიურ პირობებში მიმდინარეობდა, რამაც თვითმფრინავის ეკიპაჟი აიძულა კურსისთვის გადაეხვია.

მატერიალური ნაწილი ნორმალურად მუშაობს.

მთავკომბის კომისია.

ცნობა 1940 წლის 28 ივლისის 07 საათსა და 00 წუთისათვის

6 საათსა და 30 წუთზე თვითმფრინავი „უკრაინა“ სანჩურსკის რაიონში იმყოფებოდა.

მთელს წინა განვლილ უბანზე მეტეოროლოგიური პირობები მეტად მძიმე იყო. თვითმფრინავი მრავალი საათის განმავლობაში იძულებული იყო გაერღვია ჭექა-ქუხილის მძლავრი ღრუბლები, გადაელახა ძლიერი პირქარი, რამაც საწვავი მასალის საგრძნობი გადახარჯვა გამოიწვია. შემდეგაც გზაში მას მეტად რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში მოუწია ფრენა.

გაითვალისწინა რა ეს, კომისიამ საჭიროდ დაინახა შეეწყვიტა ფრენა. მაიღო რა მითითება ფრენის შეცვლის შესახებ, ამხ. ნესტერენკო მშვიდობით დაეშვა ისკოვოში.

მატერიალური ნაწილი რიგზეა.

ეკიპაჟი კარგად გრძნობს თავს.

მთავკომბის კომისია.

ცნობა 1940 წლის 28 ივლისის 1 საათისა და 00 წუთისათვის

თვითმფრინავ „უკრაინის“ ფრენა ნორმალურად მიმდინარეობს. 28 ივლისს, 1 საათსა და 00 წუთზე თვითმფრინავი სვერდლოვსკს უახლოვდება. მატერიალური ნაწილი წესრიგშია.

მთავკომბის კომისია.

ცნობა 1940 წლის 28 ივლისის 06 საათსა და 00 წუთისათვის

28 ივლისს 5 საათსა და 29 წუთზე თვითმფრინავმა „უკრაინამ“ ყაზანის ჩრდილოეთით გადაიარა.

მდინარე ირტიშსა და ყაზანს შუა მდებარე უბანზე ფრენა მძიმე მეტეოროლოგიურ პირობებში მიმდინარეობდა, რამაც თვითმფრინავის ეკიპაჟი აიძულა კურსისთვის გადაეხვია.

მატერიალური ნაწილი ნორმალურად მუშაობს.

მთავკომბის კომისია.

კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

პეტროზავოდსკი, 27 ივლისი (საქდესი). დღეს დამთავრდა კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა საკითხი, თუ როგორ მიმდინარეობს კარელია - ფინეთის სს რესპუბლიკის ახალ რაიონებში სახალხო მეურნეობის აღდგენა.

აღნიშნულია მთელი რიგი ორგანიზაციების კარგი მუშაობა იმ საწარმოთა აღდგენის ხაზით, რომელიც დანგრეული იყო თეთრფინელების მიერ. მოკლე ხნის განმავლობაში ამუშავებულია 40 ფაბრიკა და ქარხანა. განსაკუთრებული წარმატება მიმდინარეობს ქალალდ - ცელულოზის მრეწველობის აღდგენაში. პიტკიარანტის, ლიასკელის, იოხანეს, ენსის, კაიასალმის ქალალდ-ცელულოზის კომბინატები უახლოეს თვეებში ამუშავდებიან. ახალი რაიონების ტერიტორიაზე მოწყობილია 3 ჰარხლის საბჭოთა მეურნეობა, 12 სარძეო - მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა, 5 მტს-ი და სხვ.

სსრ კავშირის დეპეშათა სააგენტოს 15 წლისთავი

საზეიმო სხდომა საქართველოს დეპეშათა სააგენტოში

29 ივლისს საღამოს საქართველოს სახკომსაბჭოსთან არსებულ საქართველოს დეპეშათა სააგენტოში (საქდესში) შესდგა საზეიმო სხდომა, მიძღვნილი სსრ კავშირის დეპეშათა სააგენტოს (საქდესის) არსებობის XV წლისთავისადმი. საზეიმო სხდომას, გარდა საქართველოს დეპეშათა სააგენტოს მუშაკთა კოლექტივისა, დაესწრნენ თბილისის გაზეთების და მსხვილი საწარმოთა წარმომადგენლები.

სხდომა გახსნა საქდესის დირექტორის მოადგილემ ამხ. ს. ულინსკაიამ. მოხსენებით სსრ კავშირის დეპეშათა სააგენტოს და ამასთან დაკავშირებით საქდესის მუშაობის შესახებ გამოვიდა ამხ. ი. რუხაძე.

სხდომაზე მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ გაზ. „კომუნისტის“ მუშაკთა კოლექტივის სახელით ამხ. ა. გვინჩიძე, გაზ. „ზარია ვოსტოკას“ მუშაკთაგან — ამხ. ს. ფრიშენბერგი, ლ. ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის მუშათა სახელით ამხ. შეფლერი, გაზ. „სოვეტ გურჯისტანის“ მუშაკთაგან ამხ. მ. მურადოვი, ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი ამხ. ს. კანტოროვიჩი და საქდესის ძველი მუშაკი მედლით დაჯილდოებული ამხ. პ. პეტრუხინი.

სა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლის-გერმანიის ომი

გერმანიის სარდლობის ცნობა

ბერლინი, 27 ივლისი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს უმაღლესი სარდლობის შემდეგს ცნობას:

ერთი წყალქვეშა ნავის უფროსმა შეგვატყობინა, რომ ჩაძირულია 33.700 ბრუტო-რეგისტრული ტონა წყალწყვის ექვსი შეიარაღებული სავაჭრო გემი, მეორე წყალქვეშა ნავის უფროსმა შეგვატყობინა 26.338 ბრუტო-რეგისტრული ტონა წყალწყვის მთელი რიგი გემების დაღუპვის შესახებ, აგრეთვე ინგლისის საესკადრო ნაღმოსანის „უორლუინდის“ დაღუპვის შესახებ, რასაც უკვე ვიუწყებოდით. მესამე წყალქვეშა ნავმა ჩასძირა ინგლისის შეიარაღებული სავაჭრო გემი „სამბრი“ (5.260 ბრუტო-რეგისტრული ტონა წყალწყვისა), რომელიც ძლიერი ბადრაგის თანხლებით მიდიოდა. ბადრაგი გაფანტულ იქნა.

გერმანიის ავიაციამ ყუმბარა დაუშინა კარდიფის, აბერტაუს და ჰასტინგსის სანავსადგურო შენობებს. ყუმბარის დაშენის შედეგად ბევრგან გაჩნდა ხანძარი. ამას გარდა, გერმანიის ავიაცია თავს დაესხა ტანბრიჯ-უელსის რკინიგზის კვანძს და ტემზა-ჰავენის ნავთსაცავებს.

26 ივლისს ღამით ინგლისის თვითმფრინავები თავს დაესხნენ სამხრეთ-დასავლეთ გერმანიას. ჩამოგდებული იყო რამდენიმე ყუმბარა, რომელთაც ბრავითარი ზიანი არ მიუყენებიათ. ინგლისის ერთი თვითმფრინავი ჩამოგდებულია ბრძოლაში. მეორე თვითმფრინავი ჩამოაგდო გერმანიის საზენიტო არტილერიამ.

ლა-მანშზე საჰაერო ბრძოლაში ჩამოგდებულ იქნა გერმანიის ერთი თვითმფრინავი. გერმანიის მეორე თვითმფრინავი ბაზაში არ დაბრუნებულა.

ბერლინი, 28 ივლისი (საკდესი). გერმანიის სარდლობა იუწყება: „თუმცა ცუდი ამინდი გრძელდება, ჩვენმა საჰაერო ძალებმა მაინც შესძლეს ჩაეძირათ ლა-მანშში და ინგლისის აღმოსავლეთ სანაპიროს მახლობლად 7.000 ტონა წყალწყვის დამხმარე კრეისერი, ორი ნაღმოსანი და 5.000 ტონა წყალწყვის ერთი სატვირთო გემი. კიდევ ერთი ნაღმოსანი და ორი სატვირთო გემი ძლიერ დაზიანდა. გარდა ამისა, ყუმბარები დავუშინეთ სუენსის სანავსადგურო ნაგებობებს და კორნუელის საგარაჟოში არსებულ მთელ რიგ აეროდრომებს. ჩრდილოეთ გერმანიაში ღამით ფრენის დროს ინგლისის თვითმფრინავებმა რამდენიმე ყუმბარა ჩამოაგდეს, მაგრამ ამას ზარევა არ გამოუწვევია. ლა-მანშში ჩამოგდებულ იქნა ინგლისის ხუთი თვითმფრინავი. გერმანიის ორი თვითმფრინავი თავის ბაზაში არ დაბრუნებულა. ინგლისელებმა ჩამოაგდეს წითელი ჯვრის ნიშნის მქონე ერთი შეუიარაღებელი მაგელი ჰიდროთვითმფრინავი იმ დროს, როდესაც იგი ცდილობდა გადაერჩინა ზღვაში ჩავარდნილი თვითმფრინავის ეკიპაჟი“.

ინგლისის ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 28 ივლისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ, როგორც ავიაციის სამინისტროს კომუნიკე აღნიშნავს 26 ივლისს ინგლისის ყუმბარმშენები დღითით თავს დაესხნენ დორტმუნდის ელექტროსადგურს და ჰოლანდიის აეროდრომებს შიპჰოლსა და ვალჰაფენში. ინგლისის ყველა თვითმფრინავი თავის ბაზაში დაბრუნდა.

არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობების გამო ინგლისის ავიაციის მოქმედება 26 ივლისს ღამით იმით განისაზღვრა, რომ იგი თავს დაესხა შერბურგის, ნანტისა და სენ-ნაზარის ნავთსაცავებს. ამ ოპერაციების მონაწილე ერთერთი თვითმფრინავი უგზო-უკლოდ დაიკარგა. გუშინ ინგლისის სანაპირო თავდაცვის თვითმფრინავმა ნორვეგიის ნაპირებთან წარმატებით დაუშინა ყუმბარა გერმანიის სატვირთო გემს. თვითმფრინავიდან შენიშნეს, რომ ამ გემს ეკიპაჟი სტოვებდა.

შემდეგ სააგენტო აღნიშნავს, რომ შერბურგის ნავთსაცავთა ბომბარდირების შედეგად ხანძარი გაჩნდა. ამ ნავთსაცავებს თვითმფრინავებმა დაუყარეს დიდძალი ფუგასური და ცეცხლგამჩენი ყუმბარა. ინგლისის თვითმფრინავებმა მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენეს აგრეთვე გერმანიის ნავთსაცავებს ლუარის შესართავში. ნანტში თვითმფრინავებმა ყუმბარა დაუშინეს 5 ნავთსაწყობად ქარხანას და ნავთსაცავებს. სენ-ნაზარში ყუმბარა დაუშინეს სამ ნავთსაცავს, რომელთა საერთო ტევადობა 142 ათას ტონას უდრის. ამ პუნქტების ბომბარდირება მოახდინა თვითმფრინავთა ორმა ცალკეულმა შენაერთმა. სანზენიტო არტილერიის ინტენსიური ცეცხლის მიუხედავად, თვითმფრინავებმა რამდენიმე ტონა ყუმბარა გადაჰყარეს. ყველა ამ პუნქტში ხანძარი გაჩნდა და ძლიერი აფეთქება მოხდა. ინგლისის თვითმფრინავთა სხვა რაზმებმა განაახლეს რკინიგზის საწყობების ბომბარდირება გამში. გარდა ამისა, შენიშნულ იქნა, რომ ყუმბარები პირდაპირ მოხვდა დიდი მნიშვნელობის მქონე ელექტროსადგურს.

მოითხოვენ ინდოეთის დამოუკიდებლობას

ნიუ-იორკი, 28 ივლისი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ბომბეელი კორესპონდენტი იუწყება, რომ 150 ხელმძღვანელმა ინდოეთის ნაციონალური კონგრესისა, რომლის სხდომებიც შესდგა პუნასა და ბომბეიში, მიიღო რეზოლუცია, რომლითაც ინგლისისაგან მოითხოვენ დამოუკიდებლობა მისცეს ინდოეთს ომის დამთავრების შემდეგ. განდი ამ სხდომებს არ დასწრებია. კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ინდოეთის ნაციონალური კონგრესის ხელმძღვანელთაგან შვიდმა კაცმა მხარი დაუჭირა ამ რეზოლუციას, ხოლო განდი რეზოლუციის წინააღმდეგ წავიდა.

ჰიგლერმა მიიღო ფილოვი და კოკოვი

ბერლინი, 28 ივლისი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურომ გადმოგვცა, რომ გუშინ ნაშუადღევის შემდეგ ჰიტლერმა საგარეო საქმეთა მინისტრ რიბენტროპის თანდასწრებით მიიღო ბულგარეთის პრემიერ-მინისტრი ფილოვი და ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრი პოპოვი. საუბარმა 2 საათს გასტანა. 19 საათზე ბულგარეთის მინისტრებმა ბერლინი დასტოვეს.

მუსოლინიმ მიიღო რუმინეთის მინისტრები

ბერლინი, 28 ივლისი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო რომიდან იუწყება, რომ გუშინ მუსოლინიმ, იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრ ჩიანოს თანდასწრებით, მიიღო რუმინეთის პრემიერ-მინისტრი ჟიგურტუ და რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი მანოილესკუ.

საბჭოთა კავშირ-ჩინეთის კულტურული საზოგადოების კრება

ჩუნცინი, 28 ივლისი (საკდესი). 26 ივლისს ჩუნცინში შესდგა საბჭოთა კავშირ-ჩინეთის კულტურული საზოგადოების კრება. კრებას დაესწრო 140 მწერალი, ჟურნალისტი და ჩინეთის ინტელიგენციის სხვა წარმომადგენელნი. კრებს მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა საბჭოთა მთავრობისა და საბჭოთა კავშირის ხალხებისადმი, სადაც ხაზგასმით აღნიშნავენ საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცების დიდ მნიშვნელობას.

რბინოს გასამართლება

ლონდონი, 27 ივლისი (საკდესი). ინგლისის რამდენიმე გაზეთმა მოათავსა ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობა იმის შესახებ, რომ რეინო უკვე მიცემულია პასუხისგებაში.

მოკლე ცნობები

○ გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ სლოვაკიის პრეზიდენტი ტისო და სლოვაკიის პრემიერ-მინისტრი ტუკა ზალცბურგს (გერმანია) ჩავიდნენ. ტისოს შეხვდა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი რიბენტროპი.

○ 26 ივლისს პარტია კოკუმინ დომეიმ ოფიციალურად გამოაცხადა თვითდაშლა, რათა „მონაწილეობა მიიღოს ახალი პარტიის შექმნაში“.

○ ესპანეთში სასურსათო მდგომარეობა მეტად მძიმეა. ამასწინათ პურის ყოველდღიური ულუფა საგრძნობლად იქნა შემცირებული. სხვა პროდუქტების შოვნა ძალიან ძნელია. კარაქი გაჰქრა, ხორცის ყიდვა შეიძლება თვეში მხოლოდ ერთხელ. დიდი ნაკლებობაა აგრეთვე ზეითუნის ზეთისა, კარტოფილისა, შაქრისა და რძისა.

○ რუმინეთში ცენზურამ აკრძალა ოთხი უნგრული გაზეთი „ფრაშ უიშაგი“, „უჭეი უიშაგი“, „არადი უიშაგი“ და „ბანატი უიშაგი“...

○ რუმინეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ 12 ფრანგ ინჟინერს წინადადება მისცა 24 საათის განმავლობაში დასტოვონ რუმინეთი.

○ სტოკჰოლმში ხელი მოაწერეს სავაჭრო ხელშეკრულებას შვეციასა და დანიას შორის, შეთანხმება აწესებს საქონელბრუნვის ოდენობას ამ ორ ქვეყანას შორის 1940 წლის მეორე ნახევრისათვის.

ბრძოლები ხმელთაშუა ზღვაზე და აფრიკაში

ბერლინი, 28 ივლისი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს იტალიის სარდლობის შემდეგს ცნობას:

„ავიაციამ მოახდინა ალექსანდრიის საზღვაო ბაზის ბომბარდირება.

ჩრდილოეთ აფრიკაში კირენაიკიდან ინგლისის ჯავშანსატანკო ნაწილებზე წარმატებით მიტანილმა იერიშმა სერიოზული ზარალი მიაყენა მტერს. ხელთ ვიგდეთ ოთხი ტანკი, ხოლო ექვსი ძლიერ დავაზიანეთ. ხელთ ვიგდეთ აგრეთვე რამდენიმე ტყვე, მათ შორის ინგლისელთა რაზმის მეთაური.

ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში ჩვენმა საჰაერო ესკადრებმა არაერთხელ წარმატებით დაუშინეს ყუმბარა ინგლისის დიდ გემებს. ბუმბადში, იტალიის აღმოსავლეთ აფრიკის საზღვარზე, ცისფერი ნილოსის მთებიდან გამოსვლისას ადგილობრივ იტალიელთა რაზმი გამოუდგა მტრის დიდ რაზმს და მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა მას“.

ლონდონი, 28 ივლისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო კაიროდან გადმოგვცემს ინგლისის სამხედრო-საჰაერო ძალთა სარდლობის კომუნიკეს, სადაც ნათქვამია: „27 ივლისს ავიაცია ზვერავდა დერნის (ლიბია) აეროდრომს, რომელსაც 26 ივლისს თავს დაესხა ინგლისის ავიაცია. როგორც გამოირკვა, თავდასხმის დროს მტრის ექვსი თვითმფრინავი სერიოზულად დაზიანდა. „ბლენჰეიმის“ ტიპის თვითმფრინავებმა ხელმეორედ მოახდინეს აეროდრომის ბომბარდირება და ყუმბარა დააყარეს მტრის თვითმფრინავებს. ჰაერიდან წარმოებული ფოტოგადაღებით გამორკვეულ იქნა, რომ აეროდრომზე ყუმბარები სულ ცოტა 4-5 თვითმფრინავს მოხვდა. ყველა ჩვენი თვითმფრინავი „გლადიატორის“ მარკის ავიაგამანადგურებელთა საფრქვეშ დაუბრუნდა თავის ბაზაში. საჰაერო თავდასხმა მოხდა ასაბის სამხედრო-საზღვაო საწყობებზე, აგრეთვე ზოგიერთ ობიექტზე რახეიტში. მტრის რამდენიმე თვითმფრინავი, რომლებიც აეროდრომზე იყო მდინარე მილის რაიონში, სერიოზულად დაზიანდა. 26 ივლისს მალტაზე დაფრინავდა მტრის ავიაციის სამი შენაერთი. ჩვენი ავიაგამანადგურებლები დაუყოვნებლივ აფრინდნენ ჰაერში და უკუაქციეს მტერი“.

მდგომარეობა საფრანგეთში

ნიუ-იორკი, 27 ივლისი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, ბაზელში ჩავიდა ამერიკის წითელი ჯვრის საზოგადოების მატარებელი, რომელმაც თან ჩაიტანა 94 ტონა სურსათი პარიზისათვის.

შემდეგ სააგენტო იუწყება, რომ საფრანგეთის ქალაქ პონტარლიეში ხელისუფლებამ დახურა შოკოლადის დიდი ფაბრიკა, რადგან შაქარი საჭიროა მოსახლეობისათვის დასარიგებლად, რომელსაც ჯერ კიდევ არ მიუღია ივლისის ულუფა—500 გრამი კაცზე. გლეხებს უფრო მეტად აკლიათ სურსათი, ვიდრე ქალაქის მოსახლეობას. ისინი სტოვებენ მიწას და ქალაქებისაკენ მიეშურებიან. სურსათის მხრივ განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა საფრანგეთის ცენტრალურ და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ რაიონებში, სადაც თავმოყრილია მრავალი ლტოლვილი და დემობილიზებული ჯარისკაცი.

როგორც სააგენტო იუწყება, ამერიკის წითელი ჯვრის საზოგადოების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პარიზში მძიმე სასურსათო მდგომარეობაა. განსაკუთრებით ატანჯვიან ბავშვები, ავადმყოფნი და დაჭრილნი.

ნიუ-იორკი, 29 ივლისი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს გადმოცემით, გერმანიის ხელისუფლებამ შეარჩია მოძრაობა რკინიგზებსა და ავტოსტრადებზე საფრანგეთის არაოკუპირებულ და ოკუპირებულ ზონებს შორის. არაოფიციალური წყაროებიდან მიღებული ცნობების თანახმად, გერმანიის ჯარის გადაჯგუფება ჩრდილოეთ საფრანგეთში აუცილებელია.

საფრანგეთში კეღვუარი ბრეზანის დამოუკიდებლობის გამოცხადება

სტოკჰოლმი, 27 ივლისი (საკდესი). გაზეთ „სვენსკა დაგბლადეტის“ კორესპონდენტი, ემყარება რა საფრანგეთის პროვინცია ბრეტანის გაზეთ „ბრეტანში“ მოთავსებულ ცნობებს, იუწყება, რომ გერმანია დასთანხმდა ბრეტანის დამოუკიდებლობის გამოცხადებაზე. გერმანიის ხელისუფლების წარმომადგენლებმა დანიშნეს ბრეტანის სპეციალური გენერალ-გუბერნატორი, რომელსაც რეზიდენცია ქალაქ რენში ექნება.

ბრეტანის ნაციონალური საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელიც აცხადებს, რომ ბრეტანის მდგომარეობა ამიერიდან შეიცვლება. რეზოლუცია აცხადებს, რომ სისტემა, რომელიც ბრეტანელ ხალხს სჩაგრავდა, მოსპობილია, და რომ შეიქმნება ნაციონალური სახელმწიფო—ბრეტანი. კონსტიტუცია შემოღებული იქნება გერმანიასთან და საფრანგეთთან შეთანხმებით. ბრეტანელთა მომავალი სახელმწიფოს ბაისათის შესახებ „სვენსკა დაგბლადეტის“ კორესპონდენტი სწერს, რომ „იგი, შესაძლოა, სავსებით დამოუკიდებელი სახელმწიფო არ იქნას. მაგრამ ყოველ შემთხვევაში სავსებით ავტონომიური მდგომარეობა ექნება მომავალ საფრანგეთში, თუ, — ირონიულად დასძენს კორესპონდენტი, — ბრეტანი არ შეუერთდა ირლანდიას კელტთა დიდი რესპუბლიკის ჩარჩოებში“.

ბრეტანის ავტონომიის გამოცხადებას, „სვენსკა დაგბლადეტი“ აფასებს, როგორც პირველ ნაბიჯს საფრანგეთის დაშუცმაცების საქმეში.

სტალინირი. კოსტა ხეთაგუროვის ძეგლის გახსნა სამხრეთ-ოსეთში. საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების 20 წლისთავის ზეიმის დღეს.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

ფეხბურთი

სამხრეთის ზონის „დინამოს“ პირველობის გათამაშება ფეხბურთში

27 ივლისს ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს“ სტადიონზე ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „დინამოს“ სამხრეთის ზონის საფებურთო პირველობის გათამაშებაში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისისა და გროზნის „დინამოს“ პირველი გუნდები.

მატჩში თბილისელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 4:0.

ამ შეხვედრით თბილისის „დინამომ“ დაამთავრა პირველი წრე (შეაგროვა 6 ქულა) და, ბაქოს „დინამოსთან“ ერთად, გათამაშების პირველ და მეორე ადგილზე გამოვიდა. (საქდესი).

პარჭყალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ბერიას სახელობის რაიკომის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების პარტსტატისტიკისა და ერთიანი პარტბილეთის სექტორში 2 დღის განმავლობაში უნდა გამოცხადდნენ შემდეგი ამხანაგები: ლავრენტი ფილიპეს-ძე **შუბლაძე,** კონსტანტინე პავლეს-ძე **დანელია,** ეკატერინე გრიგოლის-ასული **ისაევა,** ვლადიმერ სიმონის-ძე **ჯიღაური,** ივანე ტრიფონის-ძე **ბელიაბჩკი,** ირაკლი სოლომონის-ძე **ბერაძე,** არუთინ მიხეილის-ძე **პეტროსიანი,** ილია ეფრემის-ძე **ცხვირაშვილი,** პლატონ გიგოს-ძე **გოლეთიანი,** ალექსანდრე ვასილის-ძე **სვერჩკოვი,** ვალერიან გიორგის-ძე **ჭილიფუთარი,** გიორგი მიხეილის-ძე **ფითავა,** გიორგი სპირიდონის-ძე **კაციტაძე** და ირაკლი ლევანის-ძე **დუღაშვილი.**

30 ივლისს, საღამოს სრულ 8 საათზე, ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიულ კომბინატ „კომუნისტის“ კლუბში (ლენინის ქ., № 28) შესდგება ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა საქალაქო აქტივის კრება.

საქ. ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი.

1.200 ათასი ღია ბარათი ამხ. ლ. პ. ბერიას ნიგნის თემებზე

ტრესტი „საქმხატვარი“ ამზადებს ღია ბარათების სერიის მეორე გამოცემის გამოშვებას იმ სურათების რეპროდუქციით, რომლებიც დაწერილია ლ. პ. ბერიას ცნობილი წიგნის—„ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხებისათვის“ — თემაზე: ღია ბარათები გამოშვებული იქნება 1.200 ათასი ცალის რაოდენობით. პირველი გამოცემა ასეთივე ტირაჟით იყო გამოშვებული და მალე გაიყიდა. იმავე თემებზე გამოიცემა სურათების დიდი 24×3 სანტ. ზომის რეპროდუქციები ალბომებისათვის.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების XX წლისთავისათვის მზადებასთან დაკავშირებით, ტრესტი სერიული წარმოებით დაამზადებს ლენინის, სტალინის, კიროვის და ორჯონიკიძის დიდ ფიგურებს — მონუმენტების ქალაქებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და დიდი კოლმეურნეობებისათვის. დამზადებულია ამხანაგ ბაქრაძის თხმბეტრიანი ფიგურა-მონუმენტი—მოქანდაკე რ. თავაძის და რ. ამიროვის ნამუშევარი. (საქდესი).

ღეს კინოებში

რუსთაველის სახელობის — „ჩემი სიყვარული“; **ოქტომბერი** — „ქალიშვილი ჩქარობს პაემანზე“; **დამკვრელი** (ზაფხულის) — „ჩემი სიყვარული“; **დამკვრელი** (ზამთრის) — „ჩემი სიყვარული“; **კომკავშირელი** (ზაფხულის) — „დიდი ვალი“; **კომკავშირელი** (ზამთრის) — „დიდი ვალი“; **სპარტაკი** — „გიული“; **ლუჭსემბურგის** სახელობის — „დიდი ვალი“; **26 კომისრის** სახელობის (ზაფხულის) — „დიდი ვალი“; **26 კომისრის** (ზამთრის) — „დიდი ვალი“; **კომინტერნი** — „ასალი“; **ხ. ორჯონიკიძის** სახელობის **კულტურისა და დასვენების პარკი** — „ახალგაზრდა კაპიტნები“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1940 წლის 17 ივლისის
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა
ქალაქ თბილისის სავაჭრო ქსელში ვაჭრობის საათების შესახებ

სსრ კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის 1940 წლის 5 ივლისის № 332 ბრძანების შესაბამისად აღმასკომის 1940 წლის 9 ივლისის დადგენილების (ოქმი № 13 § 5) ნაწილობრივ შესაცვლელად მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი **ადგენს:**

1. სამრეწველო სასაქონლო ქსელისათვის 1940 წლის ზაფხულის სეზონში (1 ივლისიდან 30 სექტემბრამდე) დამტკიცდეს ვაჭრობის შემდეგი საათები:

ა) თბილვაჭრობის მაღაზიები: №№ 3, 5, 6, 8, 9, 10, 14, 17, 21, 24, 32, 34, 36, 37, 38, 39, 43, 53, 96, 104, 106, 108 და პასაჟი;

თბილკავშირუნივერმაღის, „გლავობუვის“, „ტექსტილსბიტის“, საქბარეშუმის „გლავიარლნოპრომის“, „გლავენერგოსბიტის“, „გლავშირპოტრების“, „გლავსტეკლოს“ და „სტეკლოფარფორტორგის“ მაღაზიები — **10-დან 19 საათამდე (შესვენება 1 საათი მაღაზიის დაუკეტავად).**

ბ) ყველა სავაჭრო სისტემის შერეული სასურსათო და სამრეწველო-სასაქონლო მაღაზიები — **7 საათსა და 30 წუთიდან 20 საათამდე.**

გ) შემსყიდველი და სარეალიზაციო პუნქტები — **11 საათიდან 19 საათსა და 30 წუთამდე.**

დ) „გლავპარფიუმერის“ მაღაზიები, აგრეთვე სანჰიგიენის ყველა მაღაზია — **9 საათიდან 21 საათსა და 30 წუთამდე.**

ე) წიგნისა და საკანცელარიო ნივთების მაღაზიები:

სახელგამისა — №№ 2, 3, 6, 7, 10, 15, 27; საბავშვო გამომცემლობისა — ელბაქიძის დაღმართი № 1; მეცნიერებათა აკადემიისა — რუსთაველის პროსპექტი, 15; საქბიომედგამომცემლობისა — ჟორესის ქ., № 26 —

11 საათიდან 19 საათსა და 30 წუთამდე.

ვ) წიგნისა და საკანცელარიო ნივთების ყველა დანარჩენი მაღაზია — **9 საათიდან 17 საათსა და 30 წუთამდე.**

ზ) „გლავტაბაკის“ სარეზენებელი მაღაზია (ბერიას სახელობის მოედანი)— **8 საათიდან 01 საათამდე.**

თ) „გლავტაბაკის“ №№ 1, 2, 3, 4, 5, 6 მაღაზიები — **7-დან 24 საათამდე.**

ი) „გლავტაბაკის“ კიოსკები და ფარდულები — **9 საათიდან 17 საათსა და 30 წუთამდე.**

2. ყველა სამრეწველო-სასაქონლო მაღაზიაში, რომლებიც არ არიან გათვალისწინებული ამ დადგენილების 1-ლი მუხლით, ვაჭრობა ზაფხულის სეზონში სწარმოებდეს **10 საათიდან 18 საათსა და 30 წუთამდე.**

3. დამტკიცდეს 1940 წელში მთავარი საფოთიაჭო სამმართველოს თბილისის განყოფილებისათვის აფთიაქებისა და მუშაობის შემდეგი საათები:

ა) № 1 (ბერიას მოედანი), № 3 (ზაუმიანის მოედანი), № 4 (კარლ მარქსის მოედანი), № 6 (ლენინის ქ., 31), № 7 (შერვაშიძის ქ., 20), №11 (პლეხანოვის პრ., 144), № 12 (ბრძოლის ქ., 212), № 13 (ხუდადოვის ქ., 10), № 14 (ორჯონიკიძის ქ., 82), № 15 (რუსთაველის პრ., 24), № 17 (სარეწაო კოოპერაციის ქ., 52), № 22 (ღრმა-ღელე) — **დღე-ღამის განმავლობაში.**

ბ) მთავარი საფთიაჭო სამმართველოს ყველა დანარჩენი აფთიაქისა და სხვა ორგანიზაციებისათვის — **9 საათიდან 22 საათამდე.**

4. ყველა სისტემის საყვავილე მაღაზიებში ვაჭრობა ზაფხულის პერიოდში სწარმოებდეს — **10 საათიდან 22 საათსა და 30 წუთამდე.**

5. ზაფხულის სეზონში „თბილგორტოპის“ ნავთის ქვემოთჩამოთვლილ დუქნებში ნავთით ვაჭრობა სწარმოებდეს:

ა) № 6 (საბჭოს ქ., 185), № 9 (ვახუშტის ქ.,), № 16, (ბორჯომის ქ., 2), № 18 (ყოჩიბეის ქ., 1), № 25 (შელიქაშვილის ქ., 48), № 32 (ათარბეგოვის ქ., 6), № 38 (მუზეუმის ქ., 3), № 36 (ამირ-ქავკასიის ფედერაციის ქ., 22), № 39 (ვერცხლის ქ., 41), № 52 (ზაუმიანის ქ., 26) — **11 საათიდან 19 საათსა და 30 წუთამდე.**

ბ) ნავთის ყველა დანარჩენ დუქანში — **8 საათიდან 16 საათსა და 30 წუთამდე.**

6. ზაფხულის სეზონში შეშისა და ნახშირის გაყიდვა სწარმოებდეს **8 საათიდან 16 საათსა და 30 წუთამდე.**

7. 1940 წლის ზაფხულის სეზონში პურით მოვაჭრე ჭელისათვის დამტკიცდეს ვაჭრობის შემდეგი საათები:

ა) თბილპურვაჭრობა — მაღაზიები №№ 44, 5, 77, 91, 135 — **7 საათიდან 02 საათამდე.**

ბ) თბილპურვაჭრობა — მაღაზიები №№ 3, 4, 9, 11, 13, 17, 28, 32, 39, 42, 52, 54, 57, 59, 60, 62, 64, 67, 73, 80, 84, 88, 93, 101, 106, 113, 138, 143;

საქპურტრესტის, არტელ „პრომკონდსნაბის“, არტელ „ქართული პურის“ ყველა მაღაზია — **7 საათიდან 24 საათამდე.**

663.

გ) თბილპურვაჭრობა — მაღაზიები №№ 2, 6, 8, 12, 16, 19, 21, 22, 23, 24, 25, 27, 30, 33, 37, 40, 43, 45, 51, 55, 58, 61, 66, 69, 72, 74, 79, 82, 83, 95, 99, 107, 111, 112, 118, 122, 123, 125, 126, 127, 131, 132, 133, 136, 140, 141, 144, 145, 148, 153; „ტრანსტორგპიტის“ ყველა მაღაზია — **7 საათიდან 19 საათსა და 30 წუთამდე.**

დ) თბილპურვაჭრობა — მაღაზიები №№ 3—ა, 7, 10, 14, 15, 18, 20, 26, 29, 35, 36, 41, 47, 53, 56, 63. 65, 68, 70, 71, 75, 76, 78, 81, 85, 92, 96, 98, 100, 103, 110, 114, 115, 117, 120, 121, 128, 129, 130, 137, 142, 147, 134 — **7 საათიდან 17 საათსა და 30 წუთამდე.**

აღნიშნული მაღაზიები უნდა დაიკეტოს დასვენებისათვის 11-დან 13 საათამდე.

8. 1940 წლის ზაფხულის სეზონში სასურსათო მაღაზიებისათვის დამტკიცდეს ვაჭრობის შემდეგი საათები:

ა) თბილვაჭრობა — მაღაზიები №№ 122, 128, 133, 134, 135, 140, 150, 151, 153, 154, 173, 178, 185, 193, 197; საქხორცვაჭრობის მაღაზიები №№ 4 და 7 —

7 საათსა და 30 წუთიდან 16 საათამდე.

ბ) თბილვაჭრობა — მაღაზიები: №№ 109, 137, 138, 146, 147, 156, 159, 162, 164, 165, 166, 167, 170, 171, 172, 175, 176, 177, 180, 181, 190, 195, 196, 200 და წვრილ-საცალო სასურსათო ბაზები:

თბილხილბოსტნეულვაჭრობის მაღაზიები №№ 9, 13, 14, 16, 18, 22, 23;

„გლავრიბას“ მაღაზიები №№ 1 და 2;

„თბილრაიტრანსტორგპიტის“ მაღაზია № 8;

საქთევზტრესტის მაღაზია № 1 — **7 საათსა და 30 წუთიდან 20 საათამდე.**

გ) თბილვაჭრობის მაღაზიები №№ 143, 191, 192 — **7 საათიდან 24 საათამდე.**

დ) თბილვაჭრობის მაღაზიები №№ 136, 145, 160, 161, 158, 184, 187 — **16 საათიდან 24 საათსა და 30 წუთამდე.**

ე) „ტბილრაიტრანსტორგპიტის“ ყველა ბილბოსტნეულის მაღაზია — **7 საათიდან 19 საათსა და 30 წუთამდე.**

ვ) თბილხილბოსტნეულვაჭრობის მაღაზიები №№ 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 10, 11, 12, 15, 17, 21;

„ტბილრაიტრანსტორგპიტის“ მაღაზია № 76;

„გლავგასტრონომის“ ყველა მაღაზია;

„გრუზმოლსბიტი“ — მაღაზია №№ 1 და 2;

საქმორცეგაჭრობა — მაღაზიები №№ 2, 3 და 8;

თბილვაჭრობა — მაღაზიები №№ 121, 123, 125, 126, 127, 129, 131, 132, 139, 141, 144, 169, 194;

სსრ კავშირის „გლავკონდიტერის“ ყველა მაღაზია;

საქართველოს „გლავკონდიტერის“ ყველა მაღაზია — **8 საათიდან 01 საათამდე.**

ზ) თბილვაჭრობის მაღაზია № 130 (რუსთაველის პროსპექტი, 12) — **დღე-ღამის განმავლობაში.**

9. 1940 წლის ზაფხულის სეზონში საზოგადოებრივი კვების ყველა სისტემის საწარმოებისათვის დამტკიცდეს ვაჭრობის შემდეგი საათები:

ა) კაფე-საკონდიტეროები და სასაუზმეები — **7 საათსა და 30 წუთიდან 24 საათსა და 30 წუთამდე.**

ბ) II კატეგორიის რესტორანები — **9 საათიდან 24 საათსა და 30 წუთამდე.**

გ) III კატეგორიის რესტორანები, „ტბილტრესტორგპიტის“ №№ 156, 157, 159 რესტორანების გამოკლებით — **10 საათიდან 01 საათამდე.**

დ) „ტბილტრესტორგპიტის“ №№ 156 (პლეხანოვის პრ., 116), 157 (რუსთაველის პრ., 30), 159 (ვაგზლის მოედანი) რესტორანები — **10 საათიდან 03 საათამდე.**

10. დამტკიცდეს საზაფხულო ქსელისათვის ვაჭრობის შემდეგი საათები:

ა) ყინულის ბაზები — **9 საათიდან 21 საათსა და 30 წუთამდე;**

ბ) ლუდის ბარები და გამაგრილებელი წყლებისა და ნაყინის გაყიდვის ქსელი — **8 საათიდან 01 საათამდე.**

11. 1940 წლის ზაფხულის სეზონისათვის დამტკიცდეს საკოლმეურნეო ბაზრებზე ვაჭრობის შემდეგი საათები:

ა) **სტალინის** სახელობის რაიონის საკოლმეურნეო ბაზარი; ორჯონიკიძის სახელობის რაიონის საკოლმეურნეო ბაზარი; 26 კომისრის სახელობის რაიონის საკოლმეურნეო ბაზარი საბურთალოს რაიონის საკოლმეურნეო ბაზარი; კიროვის სახელობის რაიონის საკოლმეურნეო ბაზარი — **6 საათიდან 19 საათამდე.**

ბ) 26 კომისრის სახელობის რაიონის საკოლმეურნეო ბაზარი ნავთლუღში; ორჯონიკიძის სახელობის რაიონის საკოლმეურნეო ბაზარი საბურთალოზე — **7-დან 17 საათამდე.**

გ) **სტალინის** სახელობის რაიონის საკოლმეურნეო ბაზრის, ორჯონიკიძის სახელობის რაიონის საკოლმეურნეო ბაზრის (ვერაზე), 26 კომისრის სახელობის რაიონის საკოლმეურნეო ბაზრის (შაუმიანის მოედანზე), მოლოტოვის სახელობის რაიონის და კიროვის სახელობის რაიონის საკოლმეურნეო ბაზრების ტერიტორიაზე მომუშავე მთელი სამრეწველო-სასაქონლო ქსელისათვის — **10 საათსა და 30 წუთიდან 19 საათამდე.**

დ) ორჯონიკიძის სახელობის რაიონის საკოლმეურნეო ბაზრის (საბურთალოზე) და 26 კომისრის სახელობის რაიონის საკოლმეურნეო ბაზრის (ნავთლუღი), სამრეწველო-სასაქონლო ქსელისათვის — **8 საათსა და 30 წუთიდან 17 საათამდე.**

ე) საკოლმეურნეო ბაზრების ტერიტორიაზე მდებარე მთელ სასურსათო ქსელში ვაჭრობა სწარმოებდეს თვით ბაზრებისათვის გათვალისწინებულ საათებში.

12. გაზეთის კიოსკებში ვაჭრობა სწარმოებდეს 1940 წლის განმავლობაში — **8 საათიდან 20 საათამდე.**

13. მოსახლეობის საყოფაც